შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: მასობრივი კომუნიკაცია

ნიკო ნიკოლაძე და პუბლიცისტური აზროვნება

რეზეკა გულმაგარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: პროფესორი, დალი ჩიკვილაძე

თბილისი
2020

სარჩევი

ანოტაცია 3

Annotation..... 4

შესავალი 5

თავი I. ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური ნოვაციები..... 8

1.1 ბიოგრაფიული შტრიხები 8

1.2. ახალი ახალგაზრდობა..... 14

1.3. „ფრანგული პრესის დეკადანსი“ 15

თავი II. ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ქართულ ჟურნალისტიკაში 18

2.1. გაზეთი ,,დროება” 18

2.2. ჟურნალი ,,კრებული” 23

თავი III. ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფია ლიტერატურაში 27

დასკვნა.....38

ბიბლიოგრაფია.....41

დანართი.....43

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია მე-19 საუკუნის პუბლიცისტიკა გაზეთ ,,დროებასა'' და ჟურნალ ,,კრებულის'' მაგალითზე. კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს ნიკო ნიკოლაძის სარედაქციო მოღვაწეობა. ისტორიულ ფაქტებსა და სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, შევეცადეთ გამოგვეკვეთა მისი სარედაქციო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

ნაშრომის მთავარი მიზანია დავადგინოთ ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური აზროვნება და როლი ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში.

პირველ თავში ასახული ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური ნოვაციები, მეორე თავში ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ქართულ ჟურნალისტიკაში, ხოლო მესამი თავი ეთმობა ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურულ აზროვნებას.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იყო ისტორიული, კრიტიკული დისკურსისა და შედარებითი ანალიზის კვლევის მეთოდები.

ნაშრომის ბოლოს, ემპირიული მასალისა და სამეცნიერო ტექსტების საფუძველზე ჩამოყალიბებულია კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები. ნაშრომი სრულდება გამოყენებული ლიტერატურის სიით. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს: სატიტულო გვრდს, ორენოვან ანოტაციას, სარჩევს, შესავალს 3 თავსა და 5 ქვეთავს, დასკვნას, ბიბლიოგრაფიასა და დანართებს ნაშრომი შეადგენს 45 გვერდს.

Annotation

This master's thesis reviews the 19th century opinion journalism at the example of the Droeba Newspaper and Krebuli Magazine. The main subject of research is Niko Nikoladze's editorial activity. Based on historical facts and research studies, we have attempted to highlight the core aspects of his editorial policy.

The main object of the thesis is Niko Nikoladze's journalistic thought and rile in the development of Georgian journalism.

Chapter 1 describes Niko Nikoladze's journalistic novelties, Chapter 2 reviews Niko Nikoladze's contribution to Georgian journalism, and Chapter 3 is fully dedicated to the materials published in Krebuli Magazine.

I've endeavored to convey, as precisely and clearly as possible, the main idea and draw accurate conclusions for the objects set.

While working on the theisis have been used methods of historical,critical, discourse and comparative analysis. In the final part of the work are formed specific conclusions and recommedations,based on empirical materials and specific text. Thesis ends with the list of used literature. Presented work includes: title-page, annotation in two languages, table of contents, 3 chapters of introduction and 5 sub chapters,conculion, bibliography and appendices theis includes 45 pages.

შესავალი

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის თემაა; ,,ნიკო ნიკოლაძე და პუპლიცისტური აზროვნება''. ნიკო ნიკოლაძე ერთდროულად იყო პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, თუმცა შეიძლება ითქვას რომ თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ჟურნალისტიკას მიუძღვნა.

თემის აქტუალობა ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფია და პუბლიცისტური მოღვაწეობა ნაწილობრივ შესწავლილია სხვადასხვა მკვლევარისა და მეცნიერის მიერ,თუმცა აღნიშნული თემა დღესაც აქტუალურია და წარმოადგენს კვლევის ინტერესებს.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იწერებოდა ნიკო ნიკოლაძის შესახებ, ერთ-ერთი პირველი წიგნია ზაქარია ჭიჭინაძის „მონოგრაფია“ „ნიკო ნიკოლაძე“ (1897), რომელშიც ავტორი აწვდის მკითხველს ინფორმაციას ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ნიკოლაძეზე წერდნენ; აკაკი ბაქრაძე, ოთარ ჯანელიძე, სიმონ ხუნდაძე და სხვები.

სიმონ ხუნდაძე: „ნ. ნიკოლაძე 68 წლის განმავლობაში ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას და სიკვდილის უკანასკნელ დღემდე არ გაუგდია ხელიდან კალამი. სამწუხაროდ, მისი მემკვიდრეობის ძლიერ მცირედი ნაწილია გამოქვეყნებული … ნიკოლაძე პუბლიცისტურ მუშაობას ეწეოდა როგორც ევროპის პრესაში, ისე რუსეთსა და ადგილობრივ ქართულ ორგანოებში. ყველა მისი ნაწერი რომ ერთად შეგროვდეს, იგი ოც ტომშიაც ვერ მოთავსდება“.

„ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხების“ V ტომში ნიკო ნიოლაძის შესახებ მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალა აქვს შეკრებილი ქალბატონ დალი ჩიკვილაძეს. ნიკო ნიკოლაძეზე დღესაც აქტიურად წერენ სტატიებსა და სამეცნიერო ნაშრომებს,რაც თემის აქტუალობაზე მიუთითებს. საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის შესახებ, ჩვენი კვლევა და თემის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა,კერძოდ: პუბლიცისტური ნოვაციები, რომელმაც დიდი აღიარება ჰპოვა ქართულ სინამდვილეში. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესს პერიოდული პრესა განსაზღვრავდა, ამიტომ ნიკო ნიკოლძე აქტიურად თანამშრომლობდა ჯერ „ცისკართან“ შემდეგ „საქართველოს მოამბესთან“ და შემდეგ „გაზეთ დროებასთან“.

„დროებას“ სათავეში მაღალი რანგის თანამშრომლები ედგნენ მათ შორის იყო ნიკო ნიკოლაძეც,რომელიც კრიტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მას ჰქონდა წერის განსხვავებული მანერა, ნიკომ პრაქტიკულად თავისი კრიტიკის მეშვეობით შექმნა მაღალი დონის პუბლიცისტიკა.

კვლევის მეცნიერული სიახლე

როგორც ვიცით,ნიკოლაძის შემოქმედება,როგორც პუბლიცისტის,რედაქტორის, და საზოგადო მოღვაწის შესწავლილია სხვადასხვა მკვლევარის მიერ, თუმცა მისი ფილოსოფიური წიაღსვლები, სახელმწიფოებრივი აზროვნება და ამ ყველაფრის თანამედროვეობასთან კავშირი, ცალკე კვლევის თემად არავის უქცევია. ჩვენ შევეცდებით გავავლოთ პარალელები აღნიშნულ თემასთან მიმართებაში და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

კვლევის მიზანი კვლევის მიზანს წარმოადგენს ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური აზროვნება კერძოდ:

ჩვენი კვლევის მიზანია:

- შევისწავლოთ ნიკო ნიკოლაძის როგორც პუბლიცისტისა და ჟურნალისტის საქმიანობა.
- გავიგოთ როგორი იყო მისი დამოკიდებულება ჟურნალისტიკის მიმართ,
- ვნახოთ რა პრინციპებით ხელმძღვანელობდა დროებასა და კრებულში მუშაობისას,
- რის მიხედვით არჩევდა ის გამოსაქვეყნებელ მასალას,
- რაზე დაყრდნობით არჩევდა პოეტებს რომელთა შემოქმედებასაც აცნობდა მკითხველს.

ასევე ჩვენი მიზანია გავარკვიოთ ნიკო ნიკოლაძის როლი ჟურნალ კრებულის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

კვლევის ამოცანები- კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მუშაობის პროცესში გამოიკვეთა 3 ძირითადი ამოცანა.

1. ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური ნოვაციების დადგენა
2. ნიკო ნიკოლაძის ღვაწლის შეფასება
3. ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიური წიაღსვლების მნიშვნელობა,რომელიც ასახულია მის ლიტერატურაში. კერძოდ მისი კვალის მნიშვნელობის შესწავლა გაზეთ ,,დროებაში“ და ჟურნალ ,,კრებულში“, სადაც წინა პლანზე გამოაქვს ესა თუ ის თემები კერძოდ:

მხატვრული ლიტერატურა, სადაც ნიკოლაძემ მაღალი დონის პოეტები და პროზაიკოსები შემოიკრიბა და მათი ნაწარმოები გამოაქვეყნა ჟურნალ კრებულში, ავტორებმა მალე ჰპოვეს აღიარება და დღეს ისნი გენიალურ მწერლებად არიან მიჩნეულები ქართულ სინამდვილეში.

მეთოდოლოგია კვლევის პროცესში მოვიძიეთ და დავამუშავეთ ყველა ის ლიტერატურა, სტატია, და სამეცნიერო ნაშრომი რაც ეხებოდა ჩვენს საკვლევ თემას, რამაც გაგვიადვილა თემის დამუშავება. მუშაობის პროცესში კი გამოიკვეთა შემდეგი კვლევის მეთოდები:

- ისტორიული ანალიზის მეთოდი-გამოყენებულია გარკვეული ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესაფასებლად,რომლებიც უკავშირდება საკვლევ თემას.

- კრიტიკული დისკურსის ანალიზი-გამოყებელულია სხვადასხვა წიგნების,სტატიების (როგორც თავად ნიკოლაძის ასევე მის შესახებ დაწერილი სტატიების) გასაანალიზებლად,რომელიც უკავშირდება საკვლევ თემას.
- შედარებითი ანალიზის მეთოდი-გამოყენებულია ისტორიული და სოციალური ეპოქების შესადარებლად, გაზეთ ,,დროებსა“ და ჟურნალ ,,კრებულის“ როლის შესადარებლად, რაც უკავშირდება საკვლევ თემას.

სტრუქტურა და მოცულობა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს:

- ორენოვან ანოტაციას
- სარჩევს
- შესავალს
- 3 თავსა და 5 ქვეთავს
- დასკვნას
- ბიბლიოგრაფიას
- დანართებს
- ნაშრომი შეადგენს 45 გვერდს

თავი I. ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური ნოვაციები

1.1 ბიოგრაფიული შტრიხები

პუბლიცისტი,კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე დაიბადა 1843 წლის 27 სექტემბერს ქუთაისში. მისი მამა იაკობ ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველი იყო,ვინც ვაჭრობას მიჰყო ხელი. მან კარგად იცოდა განათლების ფასი დ ნიკოს თავის თანაშემწედ ზრდიდა. მე-6 კლასელი ნიკო ჯანმრთელობის პრობლემის გამო გარკვეული დრო ვერ დადიოდა გიმნაზიაში,რის გამოც, სახლში უწევდა მეცადინეობა,იგი ბევრს კითხულობდა და სწორედ ამ დროს გააგზავნა ჟურნალ ,,ცისკარში'' ორი ფელეტონი,რომელიც ივანე კერესელიძემ მაშინვე გამოაქვეყნა. სწორედ აქ დაიწყო ნიკო ნიკოლაძის,როგორც პუბლიცისტის კარიერა.

ნიკო ნიკოლაძემ დაარწმუნა მამა, რომ გიმნაზიის ჰუმანიტარული მიმართულებით დამთავრების და შემდეგ, საინჟინრო საქმის შესწავლის ნაცვლად, პეტერბურგში, იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლის ნება მიეცა. ასეც მოხდა – 1861 წელს, 2 მეგობართან ერთად, ქუთაისიდან პეტერბურგში გაემგზავრა.

„1861 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში პეტერბურგში არეულობა დაიწყო. სტუდენტები უნივერსიტეტში მატრიკულების შემოღების წესს აპროტესტებდნენ. იმ დროს უმაღლეს სასწავლებელში ლექციებზე დასასწრებად სტუდენტის სტატუსი აუცილებელი არ იყო, ყველას შეეძლო შესვლა. ამიტომ, აუდიტორიებში ე.წ. ბუნტარებიც ხვდებოდნენ, რომლებიც თავისუფლებისკენ ისწრაფოდნენ, თავიანთი იდეალების შესახებ საუბრობდნენ და ამით სასწავლო პროცესი ფერხდებოდა. უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, უნივერსიტეტში ახალი წესი შემოეღო, ვისაც მატრიკული არ ექნებოდა, შენობაში არ დაეშვათ. სტუდენტებმა, პროტესტის ნიშნად, ნევის პროსპექტზე 3 დღიანი მანიფესტაცია გამართეს რომელშიც, 12 ქართველი და მათ შორის, ნიკო ნიკოლაძე მონაწილეობდა. ამ საქციელისთვის დემონსტრანტები ჯერ პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხეში, შემდეგ კი, კრონშტადტის ციხეში ჩასვეს. იმ პერიოდს ნიკო ნიკოლაძე საკმაოდ ნაყოფიერს უწოდებს და ამბობს, რომ სწორედ იქ გავიგე რას ნიშნავს თავისუფლება და როგორ უნდა იბრძოლო მის მოსაპოვებლადო.

ეს გახლავთ სწორედ ციხეში გადაღებული სურათი ქართველ და რუს სტუდენტებთან ერთად. (1861წ)

ამის შემდეგ ნიკომ სწავლას თავი დაანება და საცხოვრებად ქალაქის გარეუბანში აკაკი წერეთელთან ერთად გადავიდა, ამ დროისთვის იგი უკვე ფლობდა ფრანგულ და რუსულ ენებს, მოგვიანებით შეისწავლა ინგლისური იტალიური და გერმანული. 1863 წელს ნიკო უკვე დაბრუნდა საქართველოში, თუმცა, დიდხანს არც აქ გაჩერებულა. სწავლა პარიზში, სორბონას უნივერსიტეტში განაგრძო. იქ ძალიან ბევრს შრომოდა, სწავლობდა, კითხულობდა, ეცნობოდა ფრანგულ სოციალიზმს. თუმცა, დიდად მოხიბლული არ დარჩენილა. მოგვიანებით წერდა, დიდი არაფერი ყოფილა ეს „ფრანციცული სოციალიზმი“, ვზივარ, 18 საათს ვმუშაობ ბიბლიოთეკაში, ძალიან ბევრი შრომა მიწევსო.

ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, ვინც სადოქტორო დისერტაცია ევროპაში დაიცვა. ჟენევაში 1868 წელს გამოქვეყნებული მისი სადიპლომო ნაშრომი, როგორც მაშინ „სადოქტოროს“ უწოდებდნენ, „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“ დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით (1873 წელს), მისი რჩევით, ჟენევაში დაარსდა ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება „უღელი“.

1869 წლის ბოლოს ნიკო ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და სურდა, მთელი ცოდნა და გამოცდილება საკუთარი ქვეყნისთვის გამოეყენებინა. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, მისთვის, განათლება იყო. ძალიან წუხდა, რომ ქართული საზოგადოების უმრავლესობას განათლება არ ჰქონდა. ამბობდა, უცოდინრობით არაფერი გამოვა, ცოდნის გარეშე მუდამ მონა იქნები, ვერ იარსებებ, ცოდნით კი იმას დანერგავ, რაც შემოსავალს და პროგრესს გააჩენსო. ამიტომ, ყველანაირად უწყობდა ხელს ქვეყანაში განათლების გავრცელებას და ეს არ ეხებოდა მხოლოდ მდიდარ ფენას ან მამაკაცებს. 1872 წელს თავისი დები ოლიმპიადა და ეფროსინე, ოლიკო გურამიშვილი (შემდგომში ნიკო ნიკოლაძის მეუღლე) და ორი დეიდაშვილი ბიჭურად ჩაცმულები, გემით შვეიცარიაში გააპარა. ნიკოს სურდა მათ განათლება მიეღოთ. ეს ის პერიოდია, როდესაც ქალები ან პედაგოგიურ, ან გინეკოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობენ. დანარჩენი მათთვის ხელმიუწვდომელია, მით უმეტეს საზღვარგარეთ სწავლა. ნიკო ნიკოლაძის ასეთ საქციელს უარყოფითი რეაქციები მოჰყვა თავად-აზნაურობის მხრიდან, მათთვის წარმოუდგენელი იყო ქალებისთვის საზღვარგარეთ სწავლის ნება მიეცათ.

1870-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე ძირითადად საქართველოშია და აქტიურ მუნიციპალურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. მან წამოაყენა რამდენიმე იდეა, განახორციელა არაერთი ისეთი პროექტი, რომელიც გარდამტეხი გახდა საქართველოსთვის.

ნიკო ნიკოლაძე აქტიურად უჭერდა მხარს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი შექმნას. ეს დიმიტრი ყიფიანის იდეა იყო, მაგრამ ისიც არანაკლებ აქტიურად ემხრობოდა ამ აზრს. იმ დროს, დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ წასულ ილია ჭავჭავაძეს რამდენჯერმე ჩააკითხა თხოვნით, დაბრუნებულიყო დედაქალაქში და ბანკისთვის ეხელმძღვანელა. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა ილია. საერთოდ, ნიკო ნიკოლაძე ილიას დიდი თანამოაზრე და მეგობარი იყო. თუმცა, რიგ საკითხებზე მათი მოსაზრებები განსხვავდებოდა.

მეორე საკითხი, რაც ნიკოლაძის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, გახლდათ ვაჭრობა. ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდებდა ევაჭრათ, ოღონდ, კეთილსინდისიერად. გლეხებს ეხვეწებოდა, ჩამოეტანათ ქალაქში პროდუქტი, თუ ღვინო ღირდა 1 კაპიკი, 10 კაპიკად მიეყიდათ ადგილობრივებისთვის და არა 1 მანეთად, როგორც ამას სირაჯები აკეთებდნენ. მაგრამ მაშინ ვაჭრობას ქართველების უმეტესობა არ კადრულობდა, ეთაკილებოდა. ნიკო ნიკოლაძეს კი სამარცხვინოდ ვაჭრობის მტაცებლური მეთოდები მიაჩნდა. ფიქრობდა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით, შესაძლებელი იყო კაპიტალიზმის დანერგვა. ევროპაში

ცხოვრებისას მან კარგად დაინახა, რა როლს ასრულებდა ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში საბანკო საქმე და ვაჭრობა. სწორედ ამიტომ სურდა, საქართველოც იმავე გზით განვითარებულიყო.

მომდევნო საკითხი, რომლისთვისაც ნიკო ნიკოლაძე იბრძოდა, იყო ერობა, ადგილობრივი მმართველობა. ფაქტობრივად, იყო პირველი, ვინც ერობის, ანუ თვითმმართველობის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობდა. მას მიაჩნდა, რომ თემს უნდა აერჩია განათლებული, ხელმძღვანელი წევრები, რომლებსაც გადაუხდიდა ხელფასს და მათ დააკისრებდა ხალხის სამსახურს, ხოლო თუ ამ მოვალოეობას ვერ შეასრულებდნენ, გადააყენებნდნენ და სხვას აირჩევდნენ.

რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა, იყო უნივერსიტეტის გახსნა, თუმცა, მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ტექნიკური უნივერსიტეტი. თვლიდა, რომ კლასიკური განათლება კი არა, ხალხს წინსვლისთვის, რეალური განათლება და შესაბამისი სკოლები სჭირდებოდა. საბოლოოდ, გადაწყდა, რომ უნდა გახნილიყო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, რაც აბსოლუტურად განსხვავდებოდა მისი მოსაზრებისგან. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელი არ შეუშლია ამ იდეისთვის, პირიქით, თავის ჟურნალში დაბეჭდა სტატია „რა გვეჭირვება“ გიორგი წერეთლის ავტორობით, რომელიც კლასიკური, ჰუმანიტარული განათლების მომხრე იყო.

ზოგადად, ნიკო ნიკოლაძე თვლიდა, რომ პრესას შეეძლო დიდი გარდატეხა შეეტანა საზოგადოების განათლებასა და განვითარებაში.

1870 წელს დაიწყო მუშაობა გაზეთ “დროებაში”. 1871 წლიდან ხელმძღვანელობდა ჟურნალ “კრებულს”. აქვეყნებდა საპროგრამო წერილებს პოლიტიკისა და ლიტერატურის საკითხებზე, უცხოეთში აგვარებდა ტყიბულის ქვანახშირის საქმეებს. გამოსცემდა გაზეთ “ობზორს”. 1880 წელს ცარისტულმა რეჟიმმა გაზეთი დახურა და რედაქტორი სტავროპოლში გადაასახლა. ერთი წლის მერე, პეტერბურგში გამგზავრების ნება დართეს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რაც [1]ფოთში ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება, ნავსადგურის მშენებლობის დასრულებაა. 8-ჯერ იმოგზაურა ევროპაში, რომ მშენებარე ან ახლად აშენებული პორტის შესახებ ყველაფერი გაეგო და შესაბამისად ემოქმედა. პეტერბურგში მიაღწია იმას, რომ ნება დართეს, ყოველ 16 კილოგრამ ტვირთზე

[1] ალექსანდრე ელისაშვილის ლექცია „ქალაქი გუშინ, დღეს, ხვალ”, Art Area 2015 წელი.

დაეწესებინა ნახევარკაპიკიანი გადასახადი. ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი საბაჟო მოსაკრებელი და ეხებოდა ყველა იმ ტვირთს, რომელიც პორტიდან გემით გადიოდა. მართალია, თავიდან ამ ინიციატივას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა, თუმცა, საბოლოოდ დაარწმუნა მეწარმეები, რომ თითოეული მათგანისთვის ეს ფული არაფერს ნიშნავდა, სამაგიეროდ ერთად შეგროვებული უკვე მნიშვნელოვანი თანხა იყო, რომლითაც ქალაქისთვის აუცილებელი ბევრი პროექტი განხორციელდებოდა.

ნიკო ნიკოლაძემ ფოთში ააგო სპეციალური კედელი, რომელიც ღელვის დროს აპობდა ზღვის ტალღებს. ამით, სანაპიროზე დიდი გემების გაჩერების პრობლემა მოიხსნა. მან ფოთში ააგებინა ელევატორი. ამბობდა, ევროპასთან რომ ვიყოთ, აუცილებელია მისი გვერდით მდგომი (თანასწორი) გავხდეთ, ევროპას მონები კი არა თანამგრძნობები სჭირდებაო. ნიკო ნიკოლაძემ გაანათა ფოთი და შემდეგ, იმავე სქემით, თბილისი. ამ პერიოდში მას გაუჩნდა იდეა, სვანეთის მთებში, საიდანაც ენგური ჩამოდის, ელექტროენერგიის მისაღებად, ელექტროსადგური გაკეთებულიყო.ეს პროექტი მოგვიანებით განხორციელდა, თუმცა გერმანელმა, სპეციალისტებმა მაშინვე დაიწყეს ამ ტერიტორიის კვლევა, რომლებიც საქართველოში ნიკოლაძის ვაჟის, გიორგის მოწვევით ჩამოვიდნენ. ნიკო ნიკოლაძე, ითქმის, 20 წელი ემსახურა ფოთს. როგორც მერმა, დააწესა სპეციალური სტიპენდია უცხოეთში სწავლის მსურველი სტუდენტებისთვის. კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, თუმცა, მისი ისტორია ფოთთან არც ისე კეთილად დასრულდა. მას ქრთამის აღება დააბრალეს. რეალურად კი, როგორც მკვლევარი დალი ჩიკვილაძე ამბობს, ელევატორის მშენებლისაგან ფული ისესხა, რადგან პეტერბურგში მიდიოდა, შაბათი დღე იყო და ბანკიდან თანხა ვერ გამოიტანა. რა თქმა უნდა, ვალი ჩამოსვლისთანავე დააბრუნა, მაგრამ ცილი მაინც დასწამეს. მოსახლეობა თავგამოდებით იცავდა ნიკოლაძეს. ძიება 4 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. საბოლოოდ, ბრალი ვერ დაუმტკიცეს და ბრალდება გაბათილდა. ნიკოლაძე, ამ დროს უკვე პეტერბურგში იყო და არც სასამართლო პროცესზე და არც მის შემდეგ, გარკვეული პერიოდი, ფოთში არ ჩასულა.

დალი ჩიკვილაძე: ,,ნიკო ნიკოლაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს, დამფუძნებელი კრების საპატიო თავმჯდომარე გახდა „დემოკრატებიდან“. 1920 წელს მას დაევალა მანგანუმის მადნის საექსპორტო საზოგადოება „ჩემოს“ საქმეების შესწავლა და ამ მისიით ლონდონში მიავლინეს. საქმე ისაა, რომ ამ დროს ჭიათურიდან მანგანუმი გააქვთ, ამ პროცესებს ინგლისელები ხელმძღვანელობენ და საქართველოს არანაირ გადასახადს არ უხდიან. აქ არც ის იციან, რა მოცულობის ნედლეული გადის ქვეყნიდან. „ჩემოს“ ოფისი ლონდონშია,

ხელმძღვანელობის ნაწილი პარიზში, ნაწილი კი ლონდონში ცხოვრობს. სიტუაცია იმდენად ჩახლართული იყო, ნიკო ნიკოლაძე წერდა, აქ ყველას შენ-ჩემობა სჭირს, ყველა თავისკენ მეძახის, სხვას უღალატე და მე მიერთგულეო. „ჩემოს“ თბილისის ორგანიზაციას ნიკოს ვალი ემართა, რამდენიმე ხნით ადრე დიდი თანხა უსესხებია, რომ ორგანიზაციას ემუშავა და არ გაუქმებულიყო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მას ვალი არ დაუბრუნეს: არც თანხის და არც ნედლეულის სახით, რომ ევროპაში მაინც გაეყიდა. საბოლოოდ, ვალის დასაბრუნებლად საქართველოში ჩამოვიდა, რათა თბილისში „ჩემოს“ ადგილობრივი ორგანიზაციის კრებას დასწრებოდა, სადაც უფრო იყო შესაძლებლობა საკუთარი სიმართლე დაემტკიცებინა. ნიკო ნიკოლაძე საქართველოში 1924 წელს დაბრუნდა. დააარსა კერძო სტამბა და დაიბრუნა სახლი დიდ ჯიხაიშში, რომელიც ჯარისკაცებს ჰქონდათ დაკავებული.

1920 წელს, ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა, როგორც ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოების დელეგაციის მეთაური. უცხოეთში გაიგო საქართველოს გასაბჭოების შესახებ და მაშინვე სამშობლოში დაბრუნდა.

ნიკო ნიკოლაძემ, მილიონერ ინჟინერ პალაშკოვთან ერთად 1867-1874 წლებში ააგო თბილისი-ფოთის რკინიგზა, რომელიც პირველი იყო ამიერკავკასიაში. 1884-1886 წლებში აქტიურად მონაწილეობდა სურამის გვირაბის პროექტის დამუშავებასა და განხორციელებაში, რომლის დროსაც რკინაბეტონის დიდი სამუშაოები შესრულდა. 1885-1893 წლებში ნიკო ნიკოლაძემ თბილისის მუნიციპალურ მშენებლობაში დიდი როლი ითამაშა, მისი ხელმძღვანელობით აიგო ავჭალის წყალსადენი.ნიკო ნიკოლაძემ ხელი შეუწყო ცხენიანი ტრამვაის (“კონკის”) ორგანიზაციას, აბანოების რეკონსტრუქციას და ა. შ.

დალი ჩიკვილაძე: ,,[2]ნიკო ნიკოლაძე მოდას აყოლილი კაცი არ იყო. მაშინ მარქსს სურდა, კაპიტალისტები მოესპო და პროლეტარიატის დიქტატურა დაემყარებინა. ნიკომ გაიაზრა, ყველაფერი აწონ-დაწონა და უარის თქმა გადაწყვიტა, რადგან მის ჭკუა-გონებაში ისეთი რამ ვერ ჩაჯდებოდა, რაც პროგრესული და თავისი ქვეყნისთვის სასიკეთო არ იქნებოდა, როგორი პოპულარულიც არ უნდა ყოფილიყო კონკრეტული იდეა. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთია იმ ქართველ მოღვაწეთაგან, რომლის სახელიც უკვდავების ღირსია. ეს შეფასება ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული: იყო თავისი დროის მოწინავე აზროვნების

[2] **ჩიკვილაძე დ.,** ნიკო ნიკოლაძე – ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს! თბილისი 2018

ადამიანი, რომელმაც მიღებული განათლების, ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობით, ევროპული ცხოვრების ბევრი საუკეთესო მაგალითი შეისწავლა და ცდილობდა, შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველოში დაემკვიდრებინა. მან ევროპული ცხოვრების წესი თუ ტექნიკის მიღწევა გადმოეტანა თავის ქვეყანაში, ოღონდ მხოლოდ ის, რომელიც პროგრესული იყო და იცოდა, საქართველოს სასიკეთოდ წაადგებოდა.''



1.2. ახალი ახალგაზრდობა

ნიკო ნიკოლაძე ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას,ამიტომ მან ზუსტად იცოდა მისი ფასი და თავის სტატიებში ხშირად საუბრობდა განათლებაზე,მის მნიშვნელობაზე, ახალგაზრდებზე, ახალ და ძველ თაობებზე და თითქმის ყველგან ხაზს უსვამდა იმას,რომ განათლების გარეშე არავითარი საქმე არ გამოვა. ასე მაგალითად ნიკო ნიკოლაძე თავის სტატიაში „ახალი ახალგაზრდობა“ საუბრობს 1861 წლის ახალ თაობაზე,რომელსაც უბედურს უწოდებს და ამბობს,რომ ახალი თაობა ყველაფერს მოედო,თუმცა ვერაფერი სასიკეთო ვერ გააკეთა. ავტორი საუბრობს,იმაზეც,რომ ძველი თაობა,რომელმაც ბევრი ღირებული,რამ შექმნა უფრო ღირსეული

იყო. ავტორის აზრით მხოლოდ უნივერსიტეტის განათლება არაფერს მოუტანს ადამიანს,თუ მას მძლავრი ტვინი, და ჟინი არ გააჩნია, ჟინი იმისა,რომ რაიმე ღირებული შექმნას. იგი ემიჯნება მხოლოდ თეორიულ განათლებას.

„კაცს კაცად ვერ გახდის, თუ იმას გრძნობა და ხასიათი არ მოსდევს, თუ მის მოქმედებას მტკიცე ბეჭედი არ ასვია, ამას ივიწყებდა უნივერსტეტის სწავლა. ის სრულიადაც არ ეხებოდა მოსწავლეებში ზნეობითი მხარის გაკეთილშობილებას, ის ახალგაზდა კაცს ცხოვრებას და მოქმედების მიზანს, იდეალს არ უხატავდა, ის მასში კაცურ ხასიათს არ ზრდიდა და დაუღალავ, ნიადაგ შრომას, მტკიცე გზაზე სვლას, მიზნის დაუვიწყებლობას არ აჩვევდა. ამის გამო, უნივერსიტეტებიდამ გამოდიოდენ ახალგაზრდები, რომელთაც გაცნობილი ჰყავდათ პეპელები და ბუზანკალები, იუსტინიანის ინსტიტუტები, ეგვიპტური მონუმენტები. მაგრამ ნამდვილი ცოდნით, საზოგადოებრივი მეცნიერებით და სამოქმედო ხასიათით თვითონ პეპელებზე უფრო სუსტნი იყვნენ და ეგვიპტური მონუმენტებსავით უსარგებლო უნდა გამომდგარიყვნენ საზოგადოების ცხოვრებაში. მართლაც, უმეტესი ნაწილი ამ თაობისა პეპელასავით დაჰქროდა ქუჩა-ქუჩა და დღეში თხუტმეტ-ჯერ ტანსაცმელს და აზრს იცვლიდა...,,

მაშასადამე ნიკო ნიკოლაძე თვლიდა,რომ იმ დროის საზოგადოება არ იყო საკმარისად ძლიერი. იგი ძალიან პროგრესულად აზროვნებდა და თვლიდა,რომ ადამინის გონებას და თანამედროვე ტექნოლოგიებს ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ.

„თვითონ ცხოვრება, რამდენიმე წლის შემდეგ, დაანახებს ჩვენ ახალგაზდობას, რომ არც მარტო «გონება გამხსნელი» მეცნიერება ვარგა, თუ კაცს მასთანა ისეთი ცოდნა არა აქვს, რომელსაც ცხოვრებაში პრაქტიკულათ გამოდგომა შეუძლია, და არც მარტო ტექნიკური მეცნიერება, თუ კაცი გონებაგაუხსნელია და ვერც ცხოვრებას იცნობს, ვერც მის კანონებს, ვერც მის მოვლენებს, და ამ რიგათ თვითონ იმ მაშინას ემსგავსება, რომლის მოვლა იმას მაშინალურათ ასწავლეს...“ ვფიქრობ ამ სიტყვვებით ნიკო ნიკოლაძემ პრაქტიკულად იწინასწარმეტყველა მომავალი.

1.3. „ფრანგული პრესის დეკადანსი“

ფრანგული პრესის დეკადანსში ნიკო ნიკოლაძე საუბრობს საფრანგეთზე,ფრანგულ პრესაზე და მის უბადრუკობაზე, ავტორი კრიტიკულად აღწერს ფრანგი ჟურნალისტების უმეტესობას,და ასევე მოსახლეობას, რომელთაც ჰგონიათ,რომ მთელს სამყაროში არსებობს საფრანგეთი და მთელს საფრანგეთში კი მხოლოდ პარიზია,მისი თქმით საფრანგეთმა შეანელა სვლა პრგრესის გზით და იგი ჩაეფლო საკუთარი სიდიადის ჭვრეტაში.

ნიკოლაძე წერს,რომ გაზეთს ყველა კითხულობს,თუმცა, მისი არ სჯერათ და სასაცილოდაც კიარ ჰყოფნით. პრესა თითქმის ვერასდროს იბყრობს მკითხველის ყურადღებას, პრესა მოჩვენებითი უფროა ვიდრე რეალური,გაზეთები შოულობენ მკითხველს,მყიდველს,ხელმომწერს,მაგრამ საზოგადოება გახდა სკეპტიკური. ეს გამოიწვია პრესის პარტიების ხელში ჩავარდნამ,პარტიები კი საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ და პრესა მხოლოდ ერთმანეთის დასაპირისპირებელ იარაღად აქციეს. ფრანგულ გაზეთებს არ ყავდა იმდენი მკითხველი რომ გაზეთის ყველა ხარჯი დაეფარა,ამიტომ აღმოჩნდებოდა ხოლმე რომელიმე ფინანსისტის ხელში,რომელიც გაზეთს იჯარით იღებდა და აქ იწყებოდა გაზეთის მიკერძოება. იწერებოდა დამახინჯებული ცნობები,ცრუ და ყალბი ამბები და მკითხველს აიძულებდა ეყიდა ეს გაზეთი. ნიკოლაძე ამბობს რომ ე.წ ჟურნალისტები ამ ტყუილი ამბების შეთითხვნას ნახევარ საათსაც კიარ ანდომებდნენ,თუმცა კი თავები მიაჩნდათ იმდენად უზენაესებად,რამდენადაც არაკომპეტენტურები იყვნენ. ავტორი წერს,რომ ადამიანს,როდესაც კალამი უკავია ხელში და თვლის,რომ საზოგადოებას ესაუბრება ყოველთვის იბყრობს ცდუნება თავისი თავი მქადაგებლად ჩათვალოს ძნელია ამ ცდუნებასთან გამკლავება მისი მსხვერპლი ხშირად უძლიერესი გონების ადამიანბიც კი გამხდარან.

ნიკო ნიკოლაძე ცუდი ჟურნაისტების გარდა საუბრობს, ასევე კარგ ჟურნალისტებზეც რომლებიც გუნდურად და პატიოსნად მუშაობენ და ობიექტურად აშუქებენ ამა თუ იმ ინფორმაციას. ნიკოლაძის არით პრესის ნდობის დამსახურება მდგომარეობს იმაში,რომ პრესა მკითხველის მეგობარი გახდეს. საზოგადოებას სიმართლე არასოდეს არ უნდა შეულამაზო მხოლოდ სუსტებს უმალავენ არასასიამოვნო ამბებს,ამიტომ ფრანგ ხალხს,რომელიც არც სუსტია და არც სულმოკლე არ სურს ამგვარად მოექცნენ-ამბობს ნიკოლაძე.

პარიზული პრესით გაცნობიერებული მკითხველი საკმაოდ უბადრუკ შეხედულებას იქმნის თანამედროვე ცხოვრების შესახებ.

[3]„დროა ეს მდგომარეობა საბოლოოდ შეწყდეს და ფრანგული პრესა განთავისუფლდეს ნებაყოფლობითი მონობიდან, რადგანაც საკუთარი მორალური გავლენისა და მატერიალური კეთილდღეობის ნგრევასთან ერთად, სერიოზულ ზიანს აყენებს თვით საფრანგეთის ინტერესებსა და მომავალს. დროა, მოიცილოს უღელი ზოგიერთი პოლიტიკური თუ ფინანსური ინტრიგანისა და პატივმოყვარისა, რომლებიც მას მოხერხებულად იყენებენ საზოგადოების აზრთა ფალსიფიკაციისათავის... ოთხმოცი წელიწადია, რაც პრესას ფრანგი ხალხის დასამორჩილებლად

[3] ნიკო ნიკოლაძე-ფრანგული პრესის დეკადანსი 1875წ-თავი 11

იყენებენ. პრესა მიეჩვია ამ ხალხს უკარნახოს თავისი აზრები, მიდრეკილებანი, ნება-სურვილი და ლოზუნგები. პრესამ გამოიყენა ყველა თავისი ხლართები, რომლის დახმარებითაც საზოგადოებას ხანდახან თავის თვალსაზრისს შთააგონებდა ხოლმე, ან თავს ახვევდა. დღეს, როდესაც საზოგადოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მან თავი დააღწია ამ ხლართებსა და ამ როლსაც გამოემშვიდობა... ამ აუცილებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, პრესას მხოლოდ ერთი გზა დარჩენია – უარი თქვას ყოველგვარ პატარ-პატარა პოლიტიკურ ხრიკებზე, დაივიწყოს მთელი თავისი ინტრიგები და ცილისწამებანი, თავიდან მოიშოროს არაკეთილსინდისიერება და პრეტენზიები, ერთი სიტყვით, აღარ იფიქროს, რომ მისი ამოცანაა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის «მართვა». ეს ამოცანა აშკარად აღემატება მის ძალებსა და მის დანიშნულებას.“

[4]"ფრანგული პრესის დეკადანსში" ნიკო ნიკოლაძე საფრანგეთის ისტორიის, თანამედროვეობისა და პრესაში არსებული რეალობის საუცხოო ცოდნას ამჟღავნებს; ამასთან, იგი "ფართე შტრიხებით" ხატავს "უცხოეთის პრესის ფიზიონომიას", რომ ამ ფონზე უკეთ გამოჩნდეს ფრანგული პრესის სახე. ის შესადარებლად იღებს სამი სხვადასხვა ტიპის პრესას - ინგლისურს, ამერიკულს და გერმანულს და თითოეულის ლაკონური დახასიათებით, ფაქტობრივად, აყალიბებს ზოგადად პრესის ფუნქციებს, რომლებიც დღესაც აქტუალურია

ინგლისური პრესა

გერმანული პრესა

ამერიკული პრესა

ამგვარი შედარება ნიკო ნიკოლაძეს საშუალებას აძლევს უფრო კატეგორიულად დაასკვნას, რომ ფრანგულ პრესას აკისრია "დაქირავებული ადვოკატის როლი". "იგი შორსა დგას პრესის მოსაზრებათა მიმართ ინგლისელი მკითხველის თავაზიანობისაგან, გერმანელი მკითხველის პატივისცემისაგან და ამერიკელი მკითხველის ნდობი

[4] კუტუბიძე ლაურია-ნიკო ნიკოლაძის „ფრანგული პრესის დეკადანსის“ თანამედროვე დისკურსი

თავი II. ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ქართულ ჟურნალისტიკაში

2.1. გაზეთი „დროება”

ნიკო ნიკოლაძე პატარაობიდანვე დაინტერესებული იყო ჟურნალისტური საქმიანობით ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა,რომ ოცნებობდა ქუთაისში ტიპოგრაფიის დაარსებაზე,სადაც უბრალო ხალხისთვის სხვადასხვა წიგნების დაბეჭვდას შეძლებდა. მას იმედი ჰქონდა,რომ პატარა პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთის გამოცემასაც შეძლებდა,რადგან ოჯახის დახმარების იმედი ჰქონდა. ნიკო ნიკოლაძე თავდაუზაგავად შრომობდა იმისთვის,რომ მიზნისთვის მიეღწია და შესძლებოდა ჟურნალისტური საქმიანობა.„ჯერ სწავლაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მიხეილ კონსტანტინეს ძე ელპიდინთან ერთად ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემას შეუდგა - აღნიშნავს აკაკი ბაქრაძე. 25 წლის ასაკში ნიკო ნიკოლაძე ლევ ილიას ძე მეჩნიკოვთან ერთად პატარა ჟურნალის „სოვრემენნოსტის“ ბეჭვდას შეუდგა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლაძეს უნდოდა გაზეთის ან ჟურნალის ბეჭდვა დაეწყო,თუმცა რამდენჯერაც ნებრთვა ითხოვა იმდენჯერ უარი მიიღო მას არ ენდობოდნენ პეტერბურგში სწავლის დროს უნივერსიტეტში სტუდენტთა ამბოხში მონაწილეობის მიღების გამო. თუმცა ნიკოლაძე მაინც არ კარგავდა გაზეთის გამოცემის იმედს. ამის შემდგომ ნიკო ნიკოლაძემ გაზეთ ,,დროებაში'' დაიწყო მუშაობა, სერგეი მესხი და ნიკო ნიკოლაძე შეთანხმდნენ,რომ ერთ ნომერს მესხი გამოსცემდა მეორეს ნიკოლაძე, თუმცა ეს შეთანხმება დიდხანს არ გაგრძელდა რადგან 1870 წელს დაარსდა ჟურნალი კრებული.

ნიკო ნიკოლაძეს, როგორც რედაქტორსა და გამომცემელს ჟურნალის მთავარ დანიშნულებად მიაჩნდა „საზოგადოების ბედნიერება“ და განათლების პროპაგანდა: [5]„რაკი კაცის ბედნიერება ქვეყანაზე შესაძლებელია, რაკი კაცს ბუნებაზე იმოდენა ძალა და გავლენა აქვს, რომ შეუძლია ამ ბედნიერების გზის შემხუთველი დაბრკოლებები მოიცილოს, რაკი ამ საქმისათვის აუცილებლად საჭიროა ხეირიანი ცოდნა, შრომა და პატიოსანი ხასიათი, - უეჭველია, რომ ყოველ პატიოსან კაცს ჩვენი ქვეყნისათვის ეს სიკეთეები უნდა სურდეს და ყოველი პატიოსანი ჟურნალი მთელ თავის ცდას და გონებას იმას უნდა ალევდეს, თუ რა გზით და რანაირად შეუძლია საზოგადოებას ამ ხეირიანი ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შეძენა და სასარგებლო მოხმარება“

ნიკო ნიკოლაძის კიდევ ერთი მთავარი მიზანი იყო იმდროინდელი აზალგაზრდობის გამოფხიზლება და მაშინდელი წყობის შეცვლის მცდელობა, იგი რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას

[5] ნიკოლაძე.ნ.,,კრებულის დანიშნულებაზედ”-1871

აწვდიდა ახალგაზრდებს,რათა ისინი დაერწმუნებინა,რომ მთავარი იარაღი ცოდნაა და მცოდნე ახალგაზრდებს მართლაც,რომ შეეძლოთ მომავლის უკეთესობისკენ შეცვლა.

ნიკო ნიკოლაძე კვლავ დაუღალავ შრომას აგრძელბდა რედაქციაში ბევრი საქმიანობა შეითავსა და არ თაკილობდა არანაირ სამუშაოს, ზოგჯერ ის ასოთმწყობადაც კი მუშაობდა. მას ყოველთვის ქონდა წინასწარ შემუშავებული გეგმა ნაყოფიერი მუშაობისთვის,ამიტომ სხვებთან მუშაობა ხშირად უჭირდა. მას არასდროს დაუკარგავს საკუთარი გაზეთის გამოცემის იმედი და 1877 წელს კიდევ ერთხელ გაგზავნა თხოვნა მეფისნაცვალთან სარედაქციო სამუშაოს ნებართვის თაობაზე. „კავკასიაში ჩემი ათწლიანი ლიტერატურული საქმიანობა თვალნათლივი დადასტურებაა ჩემი ზომიერებისა და უვნებლობისა. საცენზურო კომიტეტს სრული რწმენით შეუძლია თქვას, რომ ჩემს წერილებში არასოდეს მომიწოდებია ტომობრივ ვნებათა გაღვივებისაკენ. არ მქონია სისტემატური მტრული დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი მოვლენისადმი. უმეტესწილად მშვიდად განვიხილავდი ეკონომიკურ და ლიტერატურულ საკითხებს, რომლებიც ჩვენში დაისმებოდა... ჩემი საკუთარი მიმართულების საფუძველი იყო და არის იმედი: მივაღწიო ჩემი შეხედულებების გამარჯვებას ერთადერთი გზით - დაჯერება-დარწმუნებისა და საზოგადოებაში 24 განათლების დონის ამაღლების გზით. თუ გაზეთის გამოცემის ნებას მაინც არ მომცემთ, მაშინ პეტერბურგში ან უცხოეთში ცხოვრების უფლება მაინც მიბოძეთ, რომ ლიტერატურული შრომით თავის რჩენა შემეძლოსო“მეფისნაცვლის მთავარმა სამმართველომ კავკასიის საცენზურო კომიტეტს ნიკო ნიკოლაძის პიროვნებისა და მისი სალიტერატურო მოღვაწეობის დახასიათება მოსთხოვა. ცენზორმა ნიკოლაძე დადებითად დაახასიათა, შედეგად 1878 წლის პირველ იანვარს საზოგადოებამ რუსულენოვანი გაზეთის, „ობზორის“ პირველი ნომერი მიიღო. გაზეთი 1880 წელს დახურა ხელისუფლებამ, ნიკო ნიკოლაძე კი სტავროპოლში გაგზავნეს.

ახლა კი განვიხილოთ უშუალოდ მისი სარედაქციო მღვაწეობა.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ 1865 წელს გიორგი წერეთელმა კავკასიის იმდროინდელ მეფისნაცვალს ყოველკვირეული გაზეთის დაარსების შესახებ ოფიციალური თხოვნით მიმართა და თან წარუდგინა პროგრამა თუ რისგან შედგებოდა გაზეთი „დროება“

- მიმდინარე ახალი ამბები
- ხელოვნება და მეცნიერება
- მხატვრული ლიტერატურა

- კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება
- სახაინო და კერძო განცხადებები

მთავარამმა სამმართველომ ეს თხოვნა დააკმაყოფილა და გაზეთის პირველი ნომერი 1866 წლის 4 მარტს გამოვიდა,რომელსაც ხელს აწერდნენ რედაქტორი გიორგი წერეთელი და გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი.

გაზეთი ,,დროება" თავისი არსებობის მანძილზე 5 რედაქტორს მოიცავდა.

გაზეთ „დროების" რედაქტორები	**სამუშაო წლები**
გიორგი წერეთელი	1866-1869 წწ
სერგეი მესხი	1869-1873 და 1874 – 1883 წწ.
კირილე ლორთქიფანიძე	1873 – 1874 წწ.
ილია ჭავჭავაძე,სერგეი მესხთან ერთად	1880 – 1882 წწ.
ივანე მაჩაბელი	1883 – 1885 წწ

აღნიშნულ ჩამონათვალში ნიკო ნიკოლაძე არ არის,თუმცა ზოგიერთი წყაროს მიხედვით ის 1870 წელს სერგეი მესხის თანარედაქტორი იყო და ამ პერიოდში დაწერა ორი სტატია.

რაც შეეხება გამომცემლებს

სტ. მელიქიშვილი და ამხ.	1866-1883
გიორგი ქართველიშვილი	1883-1885
სტამბა: სტ. მელიქიშვილისა და ამხ	1866-1871
გ. წერეთლისა	1872
ს. მელიქიშვილისა და ამხ.	1873-1882

ე. ხელაძისა	1883
არს. კალანდაძისა და ამხ.	1884

გაზეთის ძირითად შინაარსა წარმოადგენდა; საქართველოს, რუსეთისა და უცხოეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ქრონიკა; საისტორიო, საეთნოგრაფიო, არქეოლოგიური წერილები საქართველოს შესახებ; ქართული ბელეტრისტიკა, ფოლკლორი, პროვინციის ცხოვრება. გაზეთის მთავარი მიზანი იყო ეროვნული კულტურის საკითხების გაშუქება.

1870 იან წლებში აუცილებელი გახდა გაზეთისთვის რედაქციის შექმნა სარედაქციო კოლეგიის წევრობის კანდიდატებად დაასახელეს:ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ბეს. ჯაფარიძე, დ. ჩქოტუა, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი, ბეს. ღოღობერიძე და ნ. ღოღობერიძე. მათგან ოთხი - აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ნიკოლაძე და სერგეი მესხი - ამოარჩიეს. ამასთან დაკავშირებით სერგეი მესხმა წინასწარ შეადგინა პირობა,რომ ოთხივე წევრს თანაბარი უფლება აქვთ,როგორც გაზეთის ლიტერატურულ ისე ეკონომიკურ საქმეებში.

,[6],რედაქციის რჩევა დანიშნავს ერთ პირს, რომელსაც გაზეთის ეკონომიურ საქმეებს მიაბარებს, ამ რჩევაზეა დამოკიდებული რედაქტორის ამორჩევა, „როდესაც ახლანდელი რედაქტორი სერგეი მესხი, რომელისამე შემთხვევის გამო, დროებით ან სამუდამოდ ამ მოვალეობისაგან ხელს აიღებს; რედაქციის წევრნი ვალდებულნი არიან: ა. თავის შრომით დაეხმარონ გაზეთის გაუმჯობესებას და წარმატებას ლიტერატურულის მხრივ; ბ. მოსძებნონ საშუალება, რომ მატერიალურის მხრით გაზეთს არავითარი დაბრკოლება არ ექნეს და, საზოგადოდ, ისე იზრუნონ გაზეთისათვის, როგორც თავის საკუთარ საქმისათვის; ყოველგვარი უთანხმოება, რომელიც რედაქციის რჩევაში ატყდება, ხმის უმეტესობით უნდა გადაწყდეს; თუ რჩევის ხმები თანასწორად გაიყოფა, მაშინ რჩევა მოიწვევს ერთ გარეშე პირს აღძრული კითხვის გადასწყვეტად და ორსავე შემთხვევაში თითოეული წევრი ვალდებულია უმეტესობის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. ყოველ წევრს რედაქციისას უფლება აქვს შეაჩეროს გაზეთში დასაბეჭდი სტატია, თუ ის დაინახავს, რომ ამ სტატიის დაბეჭდვა გაზეთში რომელისამე მხრით მავნებელია. ამ შემთვევაში სტატიის შემჩერებელმა რედაქციის რჩევა უნდა მოიწვიოს, რომელიც გადასწყვეტს, დაიბეჭდოს თუ არა; ამ

[6] გაზეთი დროება,1876

თავითვე ბეჭდვით უნდა გამოცხადდეს, რომ დღეის შემდეგ „დროების“ რედაქციას ზემოხსენებული ოთხი პირი შეადგენს და გაზეთის საქმეში მკითხველი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი მხოლოდ ეს პირები არიან.''

აღნიშნულ პირობას რედაქციის ოთხივე წევრმა მოაწერა ხელი.

ამის შემდეგ დაიწყო რედაქციაში განხეთქილება რაც ეკონომიკურ საკითხებს უკავშირდებოდა.

გაზეთი „დროება“ იყო პირველი ქართული პოლიტიკური გაზეთი. ეს კი ნიშნავდა იმას,რომ ფართოდ უნდა გაშუქებულიყო საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები. ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ გაზეთს ხელმძღვანელობდა განათლებული და თვისუფლად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი, რომელთაგან ბევრი იყო მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის დასჯილი და არ იყვნენ საიმედოდ მიჩნეულნი, ამიტომ მთავრობა გაზეთ ,,დროებას'' პრაქტიკულად არ ენდობოდა. მკითხველს კი ყოველთვის უნდოდა შეულამაზებელი და პირდაპირი ინფორმაციის მოსმენა.

რედაქციას ჰქონდა მხოლო ოფიციალური წყაროებით სარგებლობის უფლება ამა თუ იმ ინფორმაციის შესარჩევად, თუმცა ამ მოთხოვნას ხშირად არღვევდნენ და ოფიციალური ინფორმაციის გარდა,საკუთარ შეხედულებებსაც აქვეყნებდნენ, ცალკეულ პოლიტიკურ მოვლენებზე, ამიტომ გაზეთს ყოველთვის ქონდა პრობლემა იმდროენდელ მთავრობასთან.

გაზეთი დროება თავისი ფორმატიდან გამომდინარე პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი იყო მხატვრულ ტექსტებსაც ბეჭდავდნენ ზოგჯერ, თუმცა მოცულობით, პატარა გაზეთი იყო და შესაბამისად ვრცელი თხზულებების დაბეჭდვა არ ხერხდებოდა. გაზეთის რედაქტორებს ყოველთვის სურდათ ვრცელი ლიტერატურის დამატება,მაგრამ ეკონომიკური ფაქტორის და ლიტერატურული მასალის სიმწირის გამო ეს ვერ ხერხდებოდა.

1870 წელს გაზეთ ,,დროებაში'' დაიბეჭდა სტატია ,,დროების აღსარება,რომელსაც დანარათის სახით დავურთავ.

2.2. ჟურნალი „კრებული”

სერგეი მესხს ეკუთვნის დროებისთვის ლიტერატურის დამატების იდეა. იდეის განხორციელებაში დახმარება სთხოვა ნიკო ნიკოლაძეს, და მათ დაიწყეს კრებულისთვის მასალის შეგროვება. 1871 წელს გიორგი წერეთელმა მეფისნაცვალს სთხოვა ნებართვა ყოველთვიური ლიტერაატურული გაზეთის კრებულის გამოცემის შესახებ.თხოვნას თან ახლდა 6 პუნქტიანი პროგრამა.

- ორიგინალური და ნათარგმნი პროზა, პოეზია და დრამატურგია.
- სტატიები საისტორიო, ეკონომიკური და ბუნებისმეტყველების ისტორიის საკითხებზე.
- კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.
- ცნობები საზოგადოებრივი ცხოვრების სიახლეებზე
- ფელეტონი.
- დამატება: რუსული და უცხოური კლასიკური მწერლობის ნიმუშთა თარგმანები.

1871 წელს მეფისნაცვალმა გიორგი წერეთელს დართო ნება აპრილშივე გამოსულიყო კრებულის მესამე ნომერი და სწორედ აქედან იწყება კრებულის,როგორც დამოუკიდებელი გაზეთის გამოცემა.

მიუხედავად იმისა,რომ კრებული დამოუკიდებელი გამოცემა იყო მან მაინც შეინარჩუნა მჭიდრო კავშირი გაზეთ „დროებასთა“ მკითხველ შეეძლო ერთადაც გამოეწერა ,,დროება'' და ,,კრებული'' და ცალ-ცალკეც.

რაც შეეხება ჟურნალ ,,კრებულის'' რედაქტორის ვინაობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ , ახალი ჟურნალის თაობაზე თხოვნა, მთავრობას გიორგი წერეთელმა წარუდგინა და ოფიციალურად, რედაქტორგამომცემლადაც ის დამტკიცდა, თუმცა, როგორც ირკვევა, ეს მხოლოდ ფორმალური მხარე იყო: ამ დროისთვის ნიკო ნიკოლაძე ახალი დაბრუნებული იყო ემიგრაციიდან, და არც თუ ისე, სანდო პიროვნებად მიიჩნევდნენ და რა თქმა უნდა, რედაქტორადაც არ დაამტკიცებდნენ. ალექსანდრე კალანდაძის თქმით, ჟურნალის არსებობის მთელ პერიოდში... „კრებულს“ მუდმივად სათავეში ედგა ნიკო ნიკოლაძე... „კრებულის“ 22 ნომრიდან 19 ნომერი უშუალოდ ნ. ნიკოლაძის მიერ არის მომზადებული და დაბეჭდილი. კალანდაძის ზრით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „კრებულის“ დაარსების მეთაურობა სერგეი მესხსა და ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნით. სწორედ ნიკო ნიკოლაძეს დაევალა „კრებულის“, როგორც „დროების“ ლიტერატურული დამატების, შედგენა და რედაქტირება. აქედან გამომდინარე „კრებულის“ ფაქტობრივი რედაქტორი, იყო ნიკო ნიკოლაძე. იგი ხშირად საკუთარი ჯიბიდანაც კი ხარჯავდა ფულს ჟურნალის არსებობისთვის,რადგან ხელმომწერებიდან შემოსული თანხა საკმაოდ მწირი იყო და ვერ ფარავდა ჟურნალის ხარჯებს.

1871 წლის მე-3 ნომერში დაიბეჭდა კრებულის საპროგრამო წერილი „კრებულის დანიშნულებაზედ,რომელიც ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის.

წერილი ეხება ჟურნალს ,,კრებული“, მისი მიმართულების და თვითმყოფადობის განსაზღვრას ლიტერატურულ ასპარეზზე. ნიკოლაძის თქმით, ,,ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს.“

წერილში ავტორი ასევე განიხილავს რაციონალური შრომის, აქტიური ცხოვრების, კერძო ინიციატივისა და ბრძოლისუნარიანობის თვალსაჩინო შედეგებს სხვა ქვეყნების მაგალითზე.

ჟურნალი კრებული 1878-ფოტო აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან

[7]„კრებული" დღეის იქით ჟურნალათ გამოიცემა. ეს ცვლილება მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ „კრებულის" წიგნები დანიშნულ ვადაზე გამოვლენ, თვეში ერთხელ, და უწინდელს მის შინაარსს ახალი ნაწილები – "მიმოხილვა", „კრიტიკა" და სხვ. დაემატება. არა. ჟურნალი, სხვა რამითაც განირჩევა სხვა და სხვა სტატიების კრებისგან. ხეირიან ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის „მიმართულებას", მის დროშას, და ჩვენი „კრებული" დარწმუნებულია, რომ ხელ-ცარიელი არ გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რომ იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს.

როგორც ყოველი კაცის მოქმედების და მიმართულების ასახსნელათ უმთავრესი საგანი – მისი მიზანია, ისე ჟურნალის ხასიათის გამოსაკვლევათ მისი მიზნის გაცნობაა საჭირო. როცა ჩვენ გაცნობილი გვაქვს ვისიმე მიზანი და ის საშუალებები, ის გზა, რომლითაც ის თავის მიზნისკენ მიმართვას აპირებს, ჩვენ სრული სჯა შეგვიძლიან შევადგინოთ ამ პირის მიმართულებაზე და მოქმედებაზე. და რადგანაც ჟურნალის საქმეც ამნაირივეა, და მისი შრომა მით უფრო ადვილდება, რაც უფრო უკეთ და სრულათ გაცნობილი აქვს მკითხველს მისი მიმართულება, ჩვენ აქვე უნდა გამოვთქვათ მისი მიზანი, საშუალებები და მოქმედების გზა.

[7] ნ.ნიკოლაძე კრებულის დანიშნულბაზე-1871

«კრებულს" ისევე მიზანი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი თავისი საზოგადოების ბედნიერება. როგორც ყოველ გონიერ კაცს, ამნაირ ბედნიერებათ მთელი საზოგადოებისთვის «კრებულს" ის მიაჩნია, რომ ყოველ კერძო პირს, საზოგადოების წევრს, მისი სხეულის და გონების ძალა რაც შეიძლება უფრო სრულათ გაეხსნას და ცხოვრებაში ამ ძალას, რაც შეიძლება, უფრო სრული დაკმაყოფილება მისცეს.

როგორც ვხედავთ ავტორი ნათლად გვიხატავს იმ საზოგადოების ნათელ სურათს,რომელშიც უნდა გამოიცეს ჟურნალი ,,კრებული'' იგი გვიჩვენებს და გვისაბუთებს ამ ჟურნალის არსებობის საჭიროებას. განხილულია,რომ ბოროტება ადვილად მოერევა გაუნათლებელ ადამიანს,ხოლო ჭკვიანს ვერფაერს დააკლებს. უფრო ადვილად იჯაბნებს და ხოცავს მდაბიო ხალხს, რომელთაც შეძლება არ აქვთ ხეირიანი და გონიერი ცხოვრებით ბუნების მოთხოვნილება დააკმაყოფილონ".

ავტორი ასევე გვანახებს განსხვავებას ნამდვილ სურვილსა და წუთიერ ფანტაზიას შორის. ამის მაგალითად კი მოყჰავს ადამიანი, ღატაკი, რომელიც ბევრ საჭმელზე ოცნებობს და როცა მიიღებს ამას – შეჭამს მხოლოდ იმდენს, რამდენსაც შეძლებს, დანარჩენს კი ზიზღით გადახედავს. ნიკოლაძე აქვე წერს „ საჭიროა საზოგადოებისთვის მხნე, გონიერი, შეურყევლათ პატიოსანი და ნიჭიერი პირები, რომელთაც საკუთარი სარგებლობა და მიზნები სრულიადაც არ უნდა ჰქონდეთ…" აქ ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება;საზოგადოებასა და ერთეულ ადამიანებზე. ნიკოლაძე კი ნამდვილად იყო ადამიანი,რომელსაც საკუთარი სარგებლობა და მიზნები არაფრად მიაჩნდა იგი ყოველთვის იყო ხალხის სამსახურში.

თავი III. ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფია ლიტერატურაში

ჟურნალი „კრებული“გამოირჩეოდა მრავალფეროვანი ჟანრით,მასში ხშირად იწერებოდა ლექსები,პოემები,თხზულებები. ნიკო ნიკოლაძე ცდილობდა დაახლოებულიყო იმდროინდელ გამოჩენილ მწერლებთან,რათა მკითხველისთვის გემოვნებიანი ლიტერატურა შეეთავაზებინა. ნიკოს კარგად ჰქონდა გააზრებული,რომ ჟურნალში დაბეჭდილ მასალას მკითხველზე შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა და აემაღლებინა მისი ინტელექტი. იმ დროს ხშირი იყო შემთხვევები,როდესაც ხელმომწერებს სურდათ საკუთარი შემოქმედება დაებეჭდათ ჟურნალში,ხოლო როცა უარს მიიღებდნენ ერთგავარად ,,აშანტაჟებდნენ'' და ისინი აუქმებდნენ ხელმოწერას, მიუხედავად ამ მდგომარეობისა, ნიკოს მკაცრად ჰქონდა განსაზღვრული,რომ ჟურნალში მხოლოდ მაღალი დონის მასალა დაებეჭდა. ეს არც ისე ადვილი იყო,თუმცა ნიკო ამას ახერხებდა.

1871 წელს გამოქვეყნებული მასალები რაოდენობრივად ასე გამოიყურება:

- პოეზია -40%
- პუბლიცისტიკა-26%
- პროზა-19%
- დრამატურგია-6%
- სხვა დანარჩენი-9%

რაც შეეხება 1872 წელს ვითარება აქაც დაახლოებით ისეთივეა

- პოეზია-34%
- პროზა-17%
- პუბლიცისტიკა-27%
- დრამატურგია-8%
- სხვა დანარჩენი-8%

1873წლის მონაცემები კი ასე გამოიყურება

- პოეზია-35%
- პროზა-17%

- პუბლიცისტიკა-28%
- დრამატურგია-5%
- სხვა-6%

საერთო ჯამში ეს მონაცემები ცხრილის სახით ასე გამოიყურება

პოეზია	36%
პროზა	18%
პუბლიცისტიკა	27%
დრამატურგია	6%
ფოლკლორი	5%
სხვა	8%

როგორც ვხედავთ ჟურნალის ნახევარზე მეტს მხატვრული ლიტერატურა შეადგენს.

ახლა ვისაუბროთ იმაზე,თუ კონკრეტულად რომელ მწერლებს ანიჭებს უპირატესობას ნიკო ნიკოლაძე

ალექსანდრე ჭავჭავაძე

„კრებულის“ 1871 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ოთხი ლექსი:

1. „ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“,

2. „ჰოი, წარმავალნო გზასა ქალნო“,

3. „ვისაც გჰსურთ ჩემთა ჰამბავთა ცნობა“,

4. „ხელოქა ჭკვიანის ლექსი, თავის გულიდამ ამოღებული, თავის საყვარელთან მიწერილი“.

სქოლიოში წერია, რომ „ეს ლექსნი დავით რექტორის, ესე იგი ცუკიას ხელით არის გადაწერილი. ოთხივე ესენი 46 რედაქციას თ. ილ. ჭავჭავაძემ გადმოსცა დასაბეჭდად“. აქედან გამომდინარე ჩანს რომ ლექსები მოიძია და რედაქციაში დასაბეჭდად მოიტანა ილია ჭავჭავაძემ.

ამ ლექსის შინაარსი კი ახლოსაა „კრებულის ძირითად პრინციპთან და მოტივთან- თავისუფლებისკენ სწრაფვასთან. აქედან გამომდინარე ირკვევა,რომ ლექსების გამოქვეყნება არ გამოქვეყნების საკითხი დამოკიდებულია არა მხოლოდ ალექსანდრე ჭავჭავაძის ხსოვნის პატივისცემაზე, არამედ რედაქციასა და გამოსაქვეყნებელი მასალების პრინციპების თანხვედრაზეც.

გრიგოლ ორბელიანი

ჟურნალის პირველ გვერდზე დაბეჭდილია გრიგოლ ორბელიანის პოემა სადღეგრძელო. ნიკო ნიკოლაძემ არამხოლოდ ლექსი გამოაქვეყნა,არამედ გრიგოლ ორბელიანის მთელი შემოქმედების მხატვრული ანალიზიც გააცნო მკითხველს. ,,სადღეგრძელო“ თავისი პატრიოტული შინაარსით ასევე თანხვედრაში მოდის რედაქციის იდეოლოგიასთან-პატრიოტიზმთან, აღსანიშნავია,რომ იმ პერიოდში პატრიოტიზმი,როგორც ასეთი იდევნებოდა და სწორედ ეს ლექსი გახდა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი დევნის წინააღმდეგ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„კრებულში“ ნიკოლზ ბარათაშვილის ოთხი ლექსი და რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. „დასაბეჭდად ვიშოვეთ ნ. ბარათაშვილის ლექსები და მისი მიწერ-მოწერა, რომელიც ძვირფასია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის“ - წერია სარედაქციო განცხადებაში.

1872 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნდა ლექსი „ზვირთები მოდუდუნებენ“, მე-9 ნომერში - „ აღმოჰხდა მნათი“ და „არ უკიჟინო, სატრფოო“,

1873 წლის მე-2 ნომერში დაბეჭდილია „დამქროლა ქარმან სასტიკმან“ ჟურნალში დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სულ რვა პირადი წერილი. აქედან ოთხი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წერილი. 1873 წლის პირველ ნომერშია დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის წინათქმით: „ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთი და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენმა ერთმა პატივცემულმა პირმა ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის, რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის

მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, - იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების გარდმომცემელსა.“

ილია ჭავჭავაძე

ჟურნალ ,,კრებულში“ ილია ჭავჭავაძის ათი ლექსი და ორი პოემა დაიბეჭდა რედაქციამ გამოაქვეყნა ისეთი ნაწარმოებიც, რომელიც წლების განმავლობაში ცენზურის გამო ვერ იბეჭდებოდა. ალექსანდრე კალანდაძე ყვება ერთ ერთი ასეთი ლექსის ისტორიას:„ [8]როდესაც ნ. ნიკოლაძე „კრებულის“ გამოცემას 48 შესდგომია, იგი 1871 წელს ილიას სწვევია დუშეთში... ილიას გადმოუცია „კრებულში“ დასაბეჭდად თავისი ლექსები, ამავე დროს, წაუკითხავს ეს ლექსიც - „მესმის, მესმის სანატრელი...“ და თან დაუმატებია, რომ ეს ლექსი გარიბალდის ეხება, რომ მან რამდენჯერმე სცადა ამ ლექსის დაბეჭდვა, მაგრამ ამაოდ. ნიკო ნიკოლაძეს თავის თავზე აუღია ცენზურისათვის თვალის ახვევა.

სქოლიოში დართული აქვს შენიშვნა: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის“ ნიკოსთვის მთავარი და მნიშვნელოვანი იყო ის,რომ ინფორმაცია მკითხველამდე მისულიყო.

„კრებულში“ ასევე დაიბეჭდა ილიას პოემა „აჩრდილი“, რომელიც ცენზურამ შეამოკლა- მთლიანად ამოიღო მე-9 თავი. აღნიშნული თავი „კრებულის“ 1873 წლის 5,6-ის სარჩევში მითითებულია, მაგრამ არაა ჟურნალის ფურცლებზე. ყველაფრის მიუხედავად, პოემას შენარჩუნებული აქვს მთლიანობა და მთავარი იდეა, რაც რა თქმა უნდა რედაქტორის დამსახურებაა.

„კრებულში“ დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის რამდენიმე სატრფიალო ლექსიც:

- „სატრფოვ, ხშირად ლაღი ფიქრი“,
- „ახ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი?
- „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“

აკაკი წერეთელი

„კრებულში“ დაიბეჭდა აკაკი წრეთლის რვა ლექსი:

[8] კალანდაძე 1984,53

1. „ვარდის ხმაზედ“

2. „ნადირობა“

3. „მუხამბაზი“

4. „ჩემს მეგობარს ნ-ს“

5. „სხვადასხვაგვარი სიყვარული“

6. „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“

7. „ორი სურათი“

8. „სიმღერა“

აკაკის ზემო აღნიშნული ლექსები, ისევე როგორც, სხვა მწერლების ლექსები შეესაბამებიან „კრებულის“ მთავარ მიმართულებას. ისინი გამოირჩევიან განსხვავებული სატირის ჟანრით . მაგალითისთვის პოლიტიკური სატირის ნიმუშებია შემდეგი ლექსები: „ნადირობა“ „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“.

ვახტანგ ორბელიანი

ჟურნალ„კრებულის“ 1872 წლის მე-10-12 ნომერში გამოქვეყნებული ვახტანგ ორბელიანის „ძველი დმანისი“.

ეს უკანასკნელი სხვა ნაწარმოებისგან შედარებით განსხვავდება ჟანრობრივად. მასში ჭარბობს პესიმიზმი,თუმცა ის მაინც გამოირჩევა საპროტესტო განწყობით. ნიკო ნიკოლაძემ ,,ძველი დმანისი“ საუკეთესო ქმნილების ნიმუშად აღიარა.

მამია გურიელი

„კრებულში“ მამია გურიელის სულ შვიდი ნაწარმოებია დაბეჭდილი, ესნია:

1. „ებრაული მელოდია“

2. „ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაკურს“

3. „დემონი“ ლერმონტოვის პოემა

4. პოემიდან „რაშიდ ვარდიძე“

5. „კითხვა“

6. „სატრფოსადმი“

7. ბაირონის „გიაურიდამ

აღნიშნული ნაწარმოები სხვა ნაწარმოების მსგავსად გამოირჩევა სამშობლოს სიყვარულით, მიუხედავად იმისა რომ მათში იგრძნობა ერთგავრი უიმედობაც, შეიძლება მივიჩნიოთ,რომ ისინი ეხმიანებიან ჟურნალის მთავარ მოტივებს.

გიორგი ჭალადიდელი

გიორგი ჭალადიდელი ჟურნალის ერთ-ერთი ახალგაზრდა თანამშრომელია. ვიდრე ჟურნალი„კრებული“ დაარსდებოდა მისი ლექსები იბეჭდებოდა „დროებაში“, „სასოფლო გაზეთსა“ და „მნათობში“. ნიკო ნიკოლაძემ გაზეთ ,,დროებაში საგანგებო წერილი მიუძღვნა მის შემოქმედებას.„კრებულში“ დაბეჭდილია გიორგი ჭალადიდელის ოთხი ლექსი:

1. პოემიდან „უბედურნი“ (1872, #8-9),

2. „გორდის მთაზე“ (1872, #10-12)

3. „ვუძღვნი ნ.ს.“ (1873, #3)

4. „დურგალი“ (1873, #10).

ალექსანდრე კალანდაძის თქმით, „[9]იდეური რადიკალიზმით, პოეტური ოსტატობით, ლექსის სიმსუბუქით, მელოდიურობით და შინაარსის შესატყვისი რიტმულობით, ენის სიცხადითა და უბრალოებით, ჭალადიდელის ლექსები თავისებურ ელფერს აძლევდა „კრებულის“ პოეზიას...“

ორიგინალური ნაწარმოებების გარდა, „კრებულის“ ფურცლებზე ვხვდებით პოეტურ თარგმანებსაც. ჟურნალის რედაქცია მთრაგმნელებისგან, პირველ მოითხოვდა მასალის შეერჩევას

[9] ალექსანდრე კალანდაძე 1985;482

თემატიკიდან გამომდინარე ანუ შეეფერებოდა თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები ქართველი მკითხველის ინტერესებს.

პროზაული ნაწარმოები ჟურნალ „კრებულში“

ჟურნალ კრებულში პოეზიის გარდა ფართოდ იყო წარმოდგენილი პროზაული მასალები. მასში ძირითადად წარმოდგენილია პუბლიცისტური პროზა და წარმოდგენილნი არიან მწერლები:

- ილია ჭავჭავაძე
- აკაკი წერეთელი
- გიორგი წერეთელი
- დიმიტრი ყაზბეგი
- ნიკო ნიკოლაძე
- დავით ერისთავი
- იასონ ნათაძე

ახლა კი დეტალურად განვიხილავთ თუ კონკრეტულად რომელი ნაწარმოები გამოქვეყნდა ჟურალში.

ჟურნალში დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის ორი მოთხრობა:

„გლახის ნაამბობი“ და „ მგზავრის წერილები“. 1873 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა „გლახის ნაამბობის“ I-V თავები, მე-2 ნომერში - VI-VIII თავები, მე-3 ში -IX-XI თავები. ნიკო ნიკოლაძემ ვრცელი კრიტიკული წერილი მიუძღვნა „გლახის ნაამბობს“, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა. ნიკოლაძე მოთხრობის ავტორს გამოუცდელს უწოდებ. როგორც შემდგომ ეპოქამ აჩვენა, ნიკო ნიკოლაძის კრიტიკა გადაჭარბებული აღმოჩნდა და დღეს „გლახის ნაამბობი“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

„მგზავრის წერილების“ II, III და IV თავები გამოქვეყნებულია „კრებულის“ მეორე წიგნში I თავი დასახელებულია, თუმცს ცენზურის გამო არ არის დაბეჭდილი. V, VI და VII თავები კი 1871 წლის მე-5 ნომერშია დასტამბული. აქედან ჩანს,რომ „მგზავრის წერილებს“ პრობლემა ქონდა ცენზურასთან.

გიორგი წერეთელი

„კრებულის“ ფურცლებზეა დაბეჭდილი გიორგის წერეთლის „მგზავრის წიგნები“. 1873 წლის მე-5-6 ნომერში თხზულების პირველი ნაწილია დაბეჭდილი. იმავე წლის მე-9 ნომერი კი მთლიანად ამ თხზულებას აქვს დათმობილი. აღნიშნული ნაწარმოები მნიშნელოვანია,რადგან ნათლად წარმოგვიდგენს 60-იანი წლების საქართველოს. „მგზავრის წიგნების“ მთავარი გმირი გახლავთ პოლონელი სტუდენტი, რომელიც, გადმოსცემს თხზულების მთავარ იდეას, პოლონელი სტუდენტი წარმოადგენს იმ თაობას, რომელსაც სჯერა დაჩაგრული ხალხის გამარჯვების. იგი მოუწოდებს დაჩაგრულ ერებს გაერთიანებისკენ. ეს სწორედ ის პერსონაჟია, რომელიც სჭირდებოდა მაშინდელ ქართულ საზოგადოებას და სწორედ ამიტომაა ეს ნაწარმოები მნიშვნელოვანი.

„კრებულში“გიორგი წერეთლის მეორე თხზულებაცაა დაბეჭდილი - „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, იგი გამოქვეყნდა ჟურნალის 1872 წლის მე-8-9, მე10-12 და 1873 წლის პირველ და მე-2 ნომრებში. ავტორი ასახავს მაშინდელ რეალობას და აღწერს იმ დროის რეჟიმის მთელ რიგ უსამართლობას.

აკაკი წერეთელი

„კრებულის“ 1872 წლის მე-6 ნომერში დაბეჭდილია აკაკი წერეთლის მოთხრობა „საუბარი ორთა შუა“. ავტორი ნაწარმოებში აღწერილია რეფორმის შედეგად გათავისუფლებული გლეხის ფიქრები ტკივილი და სიხარული. მწერალი არ იყენებს მხატვრულ ენას და იმერული დიალექტით გადმოსცემს მთავარი გმირის სულიერ მდგომარეობას. ნაწარმოებში კარგად ჩანს თუ რამხელა განსხვავებაა თავადსა და გლეხს შორის. აღნიშნული საკითხი მოგვიანებით, ილია ჭავჭავაძემ მძაფრად ასახა ,,ოთარაანთ ქვრივში“

ნიკო ნიკოლაძე

„კრებულში“ გამოქვეყნებულია ნიკო ნიკოლაძის ორი პროზაული ნაწარმოები „მელაღუმე“ და „ სხვათა შორის“. „მელაღუმე“ დაბეჭდილია ჟურნალის 1871 წლის მე-4 ნომერში და წარმოადგენს მხატვრული პუბლიცისტიკის ერთ-ერთ ნიმუშს. ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მთავარ თემას წარმოადგენს აღზრდის პრობლემა. „მელაღუმე-მ“ დიდი კრიტიკა წარმოქმნა, პირველი უარყოფითი რეცენზია კი „კრებულის ოფიციალურ რედაქტორს, გიორგი წერეთელს აქვს გამოქვეყნებული „დროების“ 1871 წლის 24-ე ნომერში. უარყოფითად შეაფასა ეს თხზულება ანტონ ფურცელაძემაც. „კრებულის“ 1872 წლის მე-10-12 ნომერში კი ავტორი, ნიკო ნიკოლაძე, აქვეყნებს წერილს, რომელშიც აღიარებს საკუთარი ნაწარმოების სისუსტეს. ალექსანდრე

კალანდაძე კი ამბობს,რომ „პუბლიცისტური ხერხით მწერალმა ამხილა არისტოკრატიული ახალგაზრდობის ფუქსავატობა. უმიზნობა და დილეტანტობა, მაშინდელი აღზრდის სიმახინჯე და სოციალური უთანასწორობა...

ნიკო ნიკოლაძის მეორე მოთხრობას „სხვათა შორის“ მთლიანად ეთმობა „კრებულის“ 1873 წლის მე-4 ნომერი. მასში აღწერილია 1872-1873 წლების მოგზაურობა ევროპაში და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

პირველი თავი -„გამოსალმება“- „დროების“ 1872 წლის მე-11 ნომერშიც დაიბეჭდა. „კრებულში“ დაბეჭდილი ტექსტი სრული არ არის - თუმცა ალ. კალანდაძის ცნობით, ნაწარმოები თორმეტი თავისაგან შედგება, ხოლო ორი თავი „სოხუმი“ და „ციურიხი“ ცენზურამ ამოიღო და სათაურებიღა დარჩა

დავით ერისთავი

„კრებულის“1873 წლის მე-10-11-12 ნომრებში გამოქვეყნდა დავით ერისთავის მოთხრობა „წყლებზე“. მოთხრობაში წარმოდგენილია იმ დროინდელი ევროპის ცხოვრება

აღსანიშნავია,რომ „დროების“ 1873 წლის მე-13 და მე-14 ნომრებში დაბეჭდილია სერგეი მესხის რეცენზია დავით ერისთავის ამ მოთხრობაზე, სადაც ავტორი თხზულებას დადებითად აფასებს.

დიმიტრი ყაზბეგი

„კრებულის“ 1873 წლის მე-10-11-12 ნომერში დაბეჭდილია დიმიტრი ყაზბეგის ეტიუდი „მავნე სულები“. სერგეი მესხი თავის წერილში „მავნე სულებს“ ეთნოგრაფიულ ნაწარმოებს უწოდებს და მის მხატვრულ მხარეს დადებითად აფასებს.

იასონ ნათაძე

ჟურნალის 1872 წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილია იასონ ნათაძის ნარკვევი „მგზავრის შენიშვნები“. ეს ნაწარმოებიც ისევე,როგორც სხვა დანარჩენი გადმოსცემს მაშინდელი თანამედროვეობის სოციალურ და ეროვნულ ტკივილებს. ავტორი აჩვენებს მკითველს გლეხის ცხოვრებას და მდგომარეობას.

„კრებულში” ორიგინალურ პროზასთან ერთად იბეჭდებოდა პროზაული თარგმანებიც. მაგ.: ჟურნალში დაბეჭდილია ნ. გოგოლის მოთხრობა „რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან

ნიკიფოროვიჩთან“. მოთხრობის თარგმანი ეკუთვნის გ. ჩიქოვანს. მოთხრობის I, II, III თავები დაბეჭდილია „კრებულის“ 1871 წლის მე-2 ნომერში. IV, V, VI, VII თავები კი - მე-3 ნომერში. კალანდაძე აღნიშნავს: „ტექსტობრივად გ. ჩიქოვანს არაჩეულებრივი სიზუსტით უთარგმნია ეს ნაწარმოები. შეიძლება ითქვას, რომ ის არც ერთ სიტყვას უყურადღებოდ არ ტოვებს და უშეცდომოდ გადმოსცემს აზრს... მთარგმნელი ორივე ენის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს და ხშირად წარმატებითაც პოულობს შესატყვის გამოთქმას“.

„კრებულში“ ასევე დაბეჭდილია ივანე მესხის მიერ თარგმნილი ნ. გოგოლის კიდევ ერთი ნაწარმოები - „შინელი“. „კრებულის“ პირველ წიგნში დაიბეჭდა ალექსანდრე გერცენის რომანი „დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან. კაცობრიობის სულის ავადმყოფობა და იმისი გადამდებობა“. თხზულება თარგმნა გიორგი წერეთლმა. ცენზორის თვალის ასახვევადწერეთელს არ გაუმხელია ავტორის ვინაობა და რომანი „დოქტორი კრუპოვის“ თხზულებად წარუდგენია. ეს რომანიც როგორც სხვა დანარჩენი შეესაბამება „კრებულის“ იდეურ მიმართულებას. ავტორი ცდილობს, მკითხველს დაანახოს ბატონყმური უსამართლობა და სოციალური ჩაგვრის მაგალითი.„კრებულში“ დაბეჭდილია ნიკო ნიკოლაძის მიერ თარგმნილი ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“. ნიკო ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ნაწარმოებს ალეგორიული ხასიათის გამო. ჯონათან სვიფტი ნიკოს პოლიტიკური ალეგორიისა და სატირის ნამდვილ ვირტუოზად მიაჩნდა.

ნ. ნიკოლაძის თარგმანი დაბეჭდილია ჟურნალის 1871 წლის მე-2, მე-3 და 1872 წლის მე-6 ნომრებში. „გულივერის მოგზაურობა“ შედგება ოთხი ნაწილისგან. ნიკო ნიკოლაძემ თარგმნა და გამოაქვეყნა თხზულების პირველი ნაწილი, „მოგზაურობა ლილიპუტების ქვეყანაში, მთლიანად და მეორე ნაწილის-, „მოგზაურობა ბრობდინგნაგს“- დასაწყისი. „კრებულში“ ასევე წარმოდგენილია ფრანგი მწერლის, ეჟენი სუს ნაწარმოები „მიმომავალი ურია“, რომელიც სარდიონ მესხიშვილმა თარგმნა. თხზულების მხოლოდ ერთი ნაწილია დაიბეჭდა „კრებულის“ 1872 წლის მე-8-9 ნომერში. ანტონ ფურცელაძე უარყოფითად იყო განწყობილი ამ თხზულების მიმართ და „მნათობში“ გამოქვეყნებულ [10]წერილში ამ თარგმანის გამოქვეყნება დიდ ცოდვად ჩაუთვალა „კრებულს“. „კრებულში“ ასევე წარმოდგენილია ჟორჟ სანდის სოციალური რომანი. „კრებულში“ ვხვდებით ერკმან-შატრიანის, ორი ფრანგი მწერლის, ნაწარმოებს „დალოცვილი ძველი დრო“. მასში ასახულია საფრანგეთის რევოლუციის წინა პერიოდის გლეხთა ცხოვრება. უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის პათოს იზიდავდა ქართველ მკითხველს. მკვლევართა ვარაუდით, ამ

[10] „მნათობი“, 1872 წ., #10, #11, 12

თხზულების მთარგმენლი ნიკო ნიკოლაძე უნდა იყოს, რომლიც მოხიბლული იყო ერკმანშატრიანის თხზულებებით.

ჟურნალი ,,კრებული“ ასევე მუდმივად ბეჭდავდა ქართული ფოლკლორის ნიმუშებს,აღსანიშნავია,რომ ჟურნალის რედაქციამ ამისთვის სპეციალური რუბრიკაც დააწესა. ყველა ნომერში ახალ ახალი ნიმუშები იბეჭდებოდა. მწერლები საგანგებოდ არჩევდნენ გამოსაქვეყნებელ ნაწარმოებს და მათ შორის საუკეთესოს აქვეყნებდნენ.კრებულის ფურცლებზე ხშირად გვხვდება ისეთი ჟანრის ფოლკლორული ნაწარმოები როგორებიცაა საგმირო, ისტორიული, სოციალური, ფილოსოფიური და სატრფიალო ლექსები.

გარდა ამისა, კრებულში ასევე იბეჭდებოდა დრამატურგიული ჟანრის,როგორც ორიგინალი ისე ნათარგმნი ტექსტები.

დასკვნა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით თემის აქტუალობაში, მიუხედავად იმისა,რომ აღნიშნულ თემაზე არაერთი კვლევა, ნარკვევი და სამეცნიერო ნაშრომი დაწერილა, ჩვენ ჩვენის მხირვ შევეცადეთ გამოგვეკვეთა ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური აზროვნების ძირითადი ასპექტები. კვლევის სხვა და სხვა მეთოდის დახმარებით ნაშრომში გავაანალიზეთ მე-19 საუკუნის პუბლიცისტიკა, და ნიკო ნიკოლაძის როლი მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

საკვლევი და თეორიული მასალის შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ, შესაძლებელი გახდა კონკრეტული დასკვნების გამოტანა.

- თემაზე მუშაობისას გაირკვა,რომ მე-19 საუკუნის საზოგადოებაში პუბლიცისტიკასა და ჟურნალისტიკას დიდი გამოხმაურება ჰქონდა, იმ პერიოდში კი ჯერ გაზეთი ,,დროება'' შემდეგ კი ჟურნალი ,,კრბული'' ასრულებდნენ მთავარ როლს მკითხველისთვის, სწორედ ამიტომ ნიკო ნიკოლაძემ იკისრა მთელი რიგი პასუხისმგებლობა- ხალხისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება და რაც მთავარია ხარისხიანი ლიტერატურის შეთავაზება.
- ნაშრომში მოყვანილ სხვა და სხვა ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ,რომ მე-19 საუკუნის პუბლიცისტიკასა და ჟურნალისტიკაში, ნიკო ნიკოლაძის როლი და გავლენა საკმაოდ დიდია. გაზეთი ,,დროება მნიშვნელოვანი სახსოვარია ქართული საზოგადოებისთვის, მისი შემქმნელები თავდაუზოგავად ცდილობდნენ გაეშუქებინათ ყველა მნიშვნელოვანი სიახლე,ამ ყველაფერში კი ნიკო ნიკოლაძეს უდიდესი როლი აქვს შესრულებული.
- მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ნიკოლაძემ თავისი პუბლიცისტური წერილების სახით,იგი ყველა წესისა და ეთიკის დაცვით წერდა წერილებს საიდანაც საზოგადოება ეცნობოდა მაშიდელ საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს. ნიკოს მიზანი არ ყოფილა მხოლოდ წერა, ის ყოველთვის ნათელ მაგალითს აძლევდა ახალგაზრდებს, მათ ყოველთვის უნერგავდა, რომ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ,უკთესი მომავლისთვის. ნიკო ნიკოლაძე ფართო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ აქტიურად შეუდგა ჟურნალისტ-რედაქტორის საქმიანობას და ბევრჯერ დაამტკიცა საკუთარი პროფესიონალიზმი.
- თემაზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ ნიკო ნიკოლაძე მკაცრი და პრინიციპული პიროვნების გარდა იყო საოცარი პროფესიონალიზმით აღსავსე ადამიანი, აღსანიშნავია,რომ

ნიკოს,ჟურნალისტური მოღვაწეობა ეფუძნებოდა ერთ მთავარ პრინციპს-პროფესიონალიზმს იგი განიკითხავდა იმ ეგრედ წოდებულ ჟურნალისტებს,ვინც გამოსაქვეყნებელ მასალას გულისყურით არ არჩევდა და მცირე დროს უთმობდა მათ მოძიებას.

- ნიკო ნიკოლაძე გახლდათ ჟურნალ ,,კრებულის მთავარი სულისჩამდგმელი და სწორედ მისი რედაქტორობით იბეჭდებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია თუ ლიტერატურა, ,,კრებულში". ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა ნიკოლაძე ჟურნალში გამოსაქვეყნებელ მასალას, იგი დიდი სიფრთხილით არჩევდა იმ პოეტებსა და პროზაიკოსებს,რომელთა ნაწარმოებიც უნდა დაებეჭდა ჟურნალ ,,კრებულში", მან შემოიკრიბა ისეთი მწერლები რომელთა შემოქმედებამ შემგდომში დიდი აღიარება ჰპოვა ქართულ სინამდვილეში.
- ნიკო ნიკოლაძე თავის არსებობის მანძილზე მუდმივად ებრძოდა იმ დროინელი რეჟიმის მთელ რიგ უსამართლობას და მისი მთავარი იარაღი იყო წერა. ცენზურის მიუხედავად ნიკოლაძემ მოახერხა და დაბეჭდა ყველა ის ნაწარმოები,რომელსაც ცენზურა ბლოკავდა, ნიკომ პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო.

- გამოიკვეთა, რომ ნიკოლაძეს კრებულში გამოსაქვეყნებელი ლიტერატურისთვის, ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებელი,რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევდა. იგი მორგებული იყო თავიდან ბოლომდე მკითხველის გემოვნებასა და იმ დროინდელი საზოგადოების პრობლემებზე,რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იყო.
- ნაშრომზე მუშაობისას ასევე გამოიკვეთა,რომ ნიკოლაძე ნიჭიერი პუბლიცისტისა და ჟურნალისტის გარდა იყო შესანიშნავი ადამიანი,რომლისთვისაც განათლება ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა და სწორედ განათლებისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად შეძლო მან იმ ყველაფრის ჩვენამდე მოტანა,რაც ასე გვეამაყება
- .ნიკო ნიკოლაძის, როგორც საზოგადო მოღვაწის, გაზეთების გამომცემლის, ნიჭიერი პუბლიცისტის, მეცნიერის, და სახელმწიფო მოხელის ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრება გაჯერებეული იყო მისი დროის საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობითა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილეობით.
    - ქართველი საზოგადოება, ნიკო ნიკოლაძის მკვლევარები და მისი დროის თანამედროვეები ნიკო ნიკოლაძეს ახასითებენ,როგორც ერთ-ერთ საუკეთესო პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, განათლებულ ჟურნალიტს, და საუკეთესო რედაქტორს. კრიტიკოსი და

რეალისტი ეს იყო ის მთავარი პრინციპი რაც ნიკოს მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევდა და გამორჩევდა საუკეთესოდ.

- ნაშრომზე მუშაობისას ნათელი გახდა, რომ ნიკო ნიკოლაძე ამ ყველაფერთან ერთად ეწეოდა საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს საქმიანობას, იგი იყო საზოგადო მოღვაწე,რომელმაც პრაქტიკულად საქართველოსთვის და არამხოლოდ ბევრი რამ გააკეთა კერძოდ კი მან განავითარა ვაჭრობა, ქალაქი ფოთი განავითარა ისე რომ დიდი პერსპექტივების ქალაქად აქცია და კიდევ ძალიან ბევრი რამ.
- ნიკო ნიკოლაძე უდაოდ იყო ადამიანი,რომელმაც შექმნა ეპოქა და გაწეულმა ღვაწლმა დიდი როლი ითამაშა, ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის განვითარებაში.
- ვფიქრობ რომ ნიკო ნიკოლაძე მართლაც იყო ადამიანი,რომელმაც დროს გაუსწრო და პრაქტიკულად ერთი საუკუნის წინ იწინასწარმეტყველა დღევანდელობა. მან შეძლო და

ბიბლიოგრაფია

1 . ბაქრაძე, ა., ნიკო ნიკოლაძე, თბილისი, ნაკადული, 1989

2.ბოცვაძე, ი., სერგეი მესხი. თსუ, თბილისი, 1964

3.გამეზარდაშვივილი დ., ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, თბილისი სახელგამი,1953

4.კალანდაძე, ა., ,,ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ თბილისი 1985

5. მესხი, ს.,,,მავნე სულებს'' გაზეთი ,,დროება 1873

6.ნიკოლაძე ნ., ჟურნალი ,,კრებული'' -1872, N10

7. ნიკოლაძე, ნ., ,,ახალი ახალგაზრდობა'' ჟურნალი ,,კრებული''1873 N1

8.ნიკოლაძე, ნ.,,,ფრანგული პრესის დეკადანსი'' ჟურნალი ,,კრებული'' 1875

9. ნიკოლაძე, ნ., ,,კრებულის დანიშნულებაზედ'' 1871 ჟურნალი ,,კრებული'' 1871 N3

10.ნიკოლაძე, ნ., ,,სალამი'' გაზეთი ,, დროება 1876 N25

11.ნიკოლაძე, ნ., ,,ჩემ პიროვნებაზე'' ჟურნალი ,,კრებული''1873 N7

12.ნიკოლაძე, ნ.,ჩვენი მწერლობა'' ჟურნალი ,,კრებული'' 1872 N10

13.ნიკოლაძე, ნ., ფრანგული პრესის დეკადანსი. ქრესტომათიაში "ქართული პუბლიცისტიკა" (რედაქტორ-შემდგენელი დ. ჩიკვილაძე), თბილისი, 2007

14.ჟორდანია ნ., ქართული პრესა (გუშინ და დღეს). თბილისი, 1900

15.ქართული პუბლიცისტიკა, ქრესტომათია. თსუ, თბილისი, 2007

16.ჩიკვილაძე დ.,ნიკო ნიკოლაძე. დაუვიწყარი პერსონალიები. ,,უნივერსალი'' თბილისი,2009

17.ჩიკვილაძე დ.,ჟურნალი ,,კრებული'' (1871-1873წწ.) თსუ, თბილისი,1974

18.ჩიკვილაძე დ., სერგეი მესხი-მამა პოლიტიკური მწერლობისა. დაუვიწყარი პერსონალიები. ,,უნივერსალი'' თბილისი,2009

19.წერეთელი, გ., გაზეთი ,,კვალი'' 1897 N46

20.ხუნდაძე ს., ნიკო ნიკოლაძე,რჩეული ნაწერები. ქართული წიგნი, თბილისი, 1930

21.ჯანელიძე ო., ნიკო ნიკოლაძე-ბიორგრაფიიდან ამოხეული ფურცლები. თსუ, თბილისი 1998

22.https://www.marketer.ge/niko-nikoladze/ აბზიანიძე ზ.,ელისაშვილი ა., ,,ადამიანი რომელმაც დროს გაუსწრო''-25.05.20

23.https://openscience.ge/bitstream/1/646/1/samagistro%20tchikaidze.pdf ჭიკაიძე ნ., ,, ნიკო ნიკოლაძის სარედაქციო მოღვაწეობა'' 2.05.20

24.https://gdi.ge/uploads/other/0/486.pdf ნიკოლაძე ნ., ,,დროების აღსარება'' 1870 25.05.20

25.https://gdi.ge/uploads/other/0/487.pdf ნიკოლაძე ნ., ,,დროების მკითხველები 1875 25.05.20

26.http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/22269/1/Nikoladze_Niko.pdf ნიკო ნიკოლაძე 170, თბილისი 2013 25.05.20

27.ფოტოები მოპოვებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან. 25.05.20 https://www.nplg.gov.ge/geo/home

დანართი

«დროების» აღსარება 1870 წელი ერთი რომელიმე «დროების» ნომერი რომ აიღოს მკითხველმა ხელში და გადახედოს, რამდენსამე განყოფილებას ნახავს ამ გაზეთში; მაგალითად: მოწინავე სტატიები, საქართველო, რუსეთი, უცხო ქვეყნები, ომის ამბები (ამ ჟამად), ნარევი, განცხადებანი და სხვა. რომელიც გნებავთ სხვა გაზეთი აიღეთ და დარწმუნდებით, რომ ყველა სხვადასხვა განყოფილებად არის დანაწილებული. განათლებულ ქვეყნებში, საცა გაზეთებს ათასობით და ათი-ათასობით ჰყავს ხელისმომწერლები და საცა ისინი ყოველდღე გამოდიან, თითოეულ ამნაირ განყოფილებას რედაქტორისაგან ცალკე პირი ჰყავს მიჩენილი, რომელიც მხოლოთ ამ თავის განყოფილებისათვის აგროვებს ცნობებს.

რედაქტორი ვალდებულია მარტო ყური უგდოს, რომ სხვა და სხვა განყოფილებისთვის მოგროვილ ცნობებსა და ამბებს ერთი სული ედგას და ერთგვარი ზემოქმედება ჰქონდეს მკითხველებზე; ის ვალდებულია, რომ ერთს განყოფილებაში გამოთქმული აზრი, ან მოყვანილი ამბავი არ ეწინააღმდეგებოდეს მეორე განყოფილებაში გამოთქმულსა. ეს პირები, რომელნიც ამგვარად მუდამ შრომობენ გაზეთისათვის, არიან გაზეთის მუდმივი თანამშრომლები, ისინი შეადგენენ რედაქციას. კარგად გამართულ გაზეთებს მუდამ თანამშრომლებს გარდა ჰყავთ კიდევ გარეშე თანამშრომლები, ანუ კორესპონდენტები, რომელნიც სხვადასხვა ადგილებიდან სწერენ ხოლმე ამ გაზეთებში ყველაფერს, რისთვისაც კი დაუკვირვებიათ თვალი და რაც ღირსია მკითხველი საზოგადოების ყურადღებისა. ზოგიერთი მდიდარი გაზეთები საკუთარ კორესპონდენტებს გზავნიან ხოლმე სხვა ქვეყნებში ამბის მოსაწერათ, თუ ამ ქვეყნებში შესანიშნავი რამე ამბავი ხდება; მაგალითად, ამერიკაში რომ ომიანობა იყო, 1864-66 წ.წ.

ინგლისურმა გაზეთმა «თიმეს»-მა საკუთარი კორესპონდენტი გაგზავნა იქ; ეხლანდელ ომშიაც ყველა ცოტაოდნათ შეძლებულ გაზეთს ჰყავს საფრანგეთში თავისი კორესპონდენტები, რომელნიც დაწვრილებით იწერებიან იქაურ ომიანობის ამბებს და «თიმეს»-ს კი ერთის მაგივრათ სამი თუ ოთხი კორესპონდენტი ჰყავს. ამნაირათ, განათლებული ქვეყნების გაზეთებს აქვთ საშუალება კარგათ წაიყვანონ თავიანთი საქმე და საინტერესო ცნობები აცნობონ და ამბები უამბონ თავის მკითხველებს. ამ საშუალებას (ბევრი თანამშრომლების ყოლას) იმათ აძლევს თვითონ საზოგადოება, რომელსაც ეხალისება ქვეყნის ამბების შეტყობა და იმიტომ იწერს გაზეთებს. განათლებულ ქვეყნებში ეს ორი საქმე: გაზეთის სიკეთე და იმის გავრცელება საზოგადოებაში, ე. ი. საშუალების მომატება – თითქმის ყოველთვის კუდი კუდზე არიან ერთმანეთზე გადაბმულნი. ერთი მხრით, იმ ქვეყნებში, თუ გაზეთი კარგია, ბევრი საშუალებაც ექნება, ბევრი

ხელისმომწერლებისაგან და მეორე მხრით, თუ გაზეთს ბევრი ხელისმომწერელი ჰყავს, ან სხვა საშუალება აქვს, იმას შეუძლია კარგათ წაიყვანოს თავისი საქმე. ახლა ცოტა ჩვენკენაც მოვიხედოთ, აბა, როგორი სურათი დაგვიხვდება ჩვენ თვალწინა? თუ როგორც ამბობენ გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების სიმრავლე და სიკეთე, რომელსამე საზოგადოებაში მოასწავებს ამ საზოგადოების ცნობის მოყვარეობას და განათლებას, – მაშინ, საუბედუროთ, ეს საამო სანახავი არ იქნება: ეს სურათი არც ჩვენი საზოგადოების ცნობის მოყვარეობას და არც განათლებას არ დაამტკიცებს.

ვილაპარაკოთ აქ მხოლოდ «დროებაზე», რომელიც, როგორც უნდა იყოს, სხვა ქართულ გაზეთებზე და ჟურნალებზე უფრო გავრცელებულია ჩვენ მკითხველ საზოგადოებაში. რამდენი მუდმივი თანამშრომელი ჰყავს «დროებას»? თუმცა გვრცხვენია ამ რიცხვის გამოთქმა, მაგრამ მაინც ვიტყვით: «დროებას» ახლა ორი მუდმივი თანამშრომელი ჰყავს, რომელიც რედაქციას შეადგენენ. ორ კაცს, რასაკვირველია, ყოველთვის შეუძლია ისეთი პატარა გაზეთის გამოცემა, როგორიც «დროებაა», ისიც კვირაში ერთხელ, მაგრამ საქმე ის არის, რომ გაზეთი ამ ორ კაცსაც ვერ აძლევს იმდენ ღონისძიებას, რომ იმის შემოსავალი გაზეთის ხარჯსაც აუვიდეს და იმათაც. ამის გამო ისინი იძულებულნი არიან სხვა პურის მძლეველ საქმესაცა მოჰკიდონ ხელი. ეს გახლავან «დროების» მუდამ თანამშრომლები... ახლა გარეშე თანამშრომლები, ანუ კორესპონდენტები. ჰყავს «დროებას» კორესპონდენტები? ურიცხვი და უანგარიშო! რედაქციის ყუთში რო ჩაახედო კაცი, გაუკვირდება–ამდენი კორესპონდენციები და სტატიები საიდან მოგროვდაო. ეს გარემოება, რასაკვირველია, სასიამოვნოა; ეს ან იმას ნიშნავს, რომ მწერლობას პატივი ადევს ჩვენში და ამის გამო ყველას ჰსურს მწერალი გახდეს, ან იმას, რომ ჩვენ ყველაფერი გვსურს გაუზიაროთ სხვებს და გულში ჩამარხვა რამისა არ გვიყვარს... მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ამდენი კორესპონდენცია და სტატია, ტყუილათ, დაუბეჭდავათ აწყვია რედაქციის ყუთში: ყველა, ვისაც შეუძლია და არ შეუძლია წერა, აგზავნის გაზეთში დასაბეჭდად თუ ღრმა აზროვან სტატიებს, თუ უკუდო კორესპონდენციებს და თუ ფუტურო ლექსებს.

«დროებას» რომ შეძლება ჰქონდეს, იმას ჩვენს ორიოდე ქალაქში საკუთარი კორესპონდენტები ეყოლება, თითონ რედაქციას მისცემდა საშუალებას ახლანდელზე უკეთ წაეყვანა გაზეთის საქმე, ერთის მაგივრათ სამჯერ, ან ყოველდღე გამოიცემოდა კვირაში და სხ. მაგრამ ღონისძიება თუ არ იქნა, არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ამ ჟამათ «დროებას» სამასამდე ხელის მომწერი ჰყავს და ამ რიცხვიდან თითქმის ასს ჯერ არ შემოუტანიათ გაზეთის ფული. გამოიანგარიშეთ რა დარჩება და მერე თქვით, – აქვს საზოგადოებას უფლება ემდუროდეს «დროებას» თუ არა? მკითხველს ვთხოვთ,

ყველა ეს ლაპარაკი რედაქციას სასოწარკვეთილებათ და თავის საქმეზე ენერგიის მოკლებათ არ ჩაუგდოს. ახლანდელ «დროების» რედაქციას იმედი აქვს, რომ ჩვენი საზოგადოება, ადრე იქნება თუ გვიან, როგორც რიგია, გაიგებს და დააფასებს მწიგნობრობის საჭიროებას; მანამდინ კი, რაც შეძლება და ღონე იქნება, ეცდება, მოაახლოვოს ეს სანატრელი დრო... დაიბეჭდა გაზეთ «დროებაში», 1870 წ., № 51 ხელმოუწერლად.